პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 131 (19872) კვირა, 7 ივნისი, 1987 წელი. ფასი 3 კაპ.

— კვირა დღეა!

— გამოდით გარეთ!..

გავლონიერდეთ, გავჯანსაღდეთ, გამოვაგრდეთ, დავეუფლოთ მხნეობის წყაროს — გუნების წიალს, მთას შევეხიდოთ, ციუხზე შევდგეთ, მოვეფინოთ ტურისტულ ბილიკებს, შევიცნოთ ჩვენი მხარის ისტორია და წარსული, მოვინახულოთ პარკები და ბაღები, დავტკბეთ მზის სითბოთი, ზეცის სილაჟვარდით, კამკამა წყლით...

მივაშუროთ სპორტულ კომპლექსებს, მარტივი ტიკის მოედნებს, საკუთარი თვალით ვიხილოთ, როგორ ვარჯიშობენ ბოგონები აქაადე მათთვის უჩვეულო სახეობის სპორტში — წყალბურთში; ზოგი თბილისის ზღვასაც ეწვიოს, სადაც საიალქნო სპორტის მოყვარულთა რიგებსაც ნახავს, იქნებ თავადაც აღითქოს ამ სახეობის სპორტის დაუფლების სურვილით; ან იქნებ თქვენც მოსინჯოთ ძალები ქართულ ციდამბაში ზურნის კანგების თანხლებით მოასპარეზეებთან მეგობრულ ციდილში, თბილისის რიყის მოედანზე კვირადღეობით რომ იმართება...

— დღეს კვირა დღეა!

— გამოდით გარეთ!..





# ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა!

**ამაყოფილებს** თუ არა რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის დონე სკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დადგენილებით ჩვენს წინაშე წამოყენებულ მოთხოვნებს? ამ კონკრეტულ კითხვაზე მთლიანად დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ შარშან გარკვეული ძვრები მოხდა: ფიზიკურ კულტურაში და სპორტში სისტემატურად მომეცადინეთა რიცხვმა ორ მილიონზე მეტი შეადგინა, „ჯანმრთელობის ჯგუფებს" მიაშურა 350 ათასმა კაცმა, საცხოვრებელ ადგილებში იმატა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების რაოდენობამ. რესპუბლიკაში ტრადიციად იქცა მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ისეთი ღონისძიებების გამართვა, როგორიც არის ტურნირები მინი-ფუტბურთში, მასობრივი კროსები, „იმედის სტარტები", ეზოების გუნდების შეჯიბრებები და სხვა მასობრივი ღონისძიებები, გაფართოდა სპორტული ბაზებისა და კომპლექსების ქსელი. სამწუხაროდ, ამ პოზიტიურ და არცთუ უმნიშვნელო ძვრებთან ერთად პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე უკეგება ჯერ კიდევ ნაკლებად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა დაუსახეს სამინისტროებს, უწყებებს, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს, უკლებლივ ყველას, ვინც დღენიადაგ უნდა იღვწოდეს ჩვენი საზოგადოებრიობის თითოეული წევრის ჯანმრთელობისა და სიმხნევისათვის. ამიტომაც დევიზი „ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა", სხვა საქველო საქმეთა შორის, ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელს პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ კომიტეტებში თუ სხვა ორგანიზაციებში მუდამ წინა პლანზე უნდა პქონდეს წამოწეული. მისი ხორცშესხმისათვის ჯაფას არ იშურებდეს. ზემოთქმულის საგანგებოდ წარმოჩენის საფუძველს გვაძლევს ის, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომი, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ იჩენს გერგილიანობას მოსახლეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საყოველთაო დანერგვისათვის, ნაკლებად ზრუნავს საამისოდ მატერიალური ბაზის შექმნისათვის, ხშირად უყურადღებოდ რჩებიან საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებაზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უმანი უნდა იყოს; ნელი ტემპით მიმდინარეობს სპორტული ბაზების მშენებლობა, ხოლო ის, რაც გაგვაჩნია, სრულად არ არის დატვირთული, წარმოებათა და სასწავლო დაწესებულებათა სპორტნაგებობებს, დასვენების ზონებს იშვიათად ვიყენებთ მასობრივ შეჯიბრებათა გასამართავად... მოსახლეობაში ფიზკულტურულ-სპორტულ შუაობაში ამ და სხვა კიდევ მრავალი ნაკლის აღმოფხვრის მიზნით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება „საქართველოში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ქვეყნის სამეურნეო თუ კულტურულ ცხოვრებაში, იდეოლოგიურ ფრონტზე გარდაქმნებმა, საჯაროობამ ჩვენი საზოგადოების უფართოეს ფრეგებს ახალი ამოცანები დაუსახა. მთავარი ის არის, ვინ როგორ აღიქვა სიახლეთა დანერგვის აუცილებლობა, რაოდენ ღრმად გაიაზრა მისი მნიშვნელობა და სერიოზულად ცდილობს თუ არა, რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში საქმეში თავის ჩარგვას, აქვს თუ არა ფსის გამოჩენის უნარი. ის კი, ვინც ძველს, დრომოჭმულს ებღაუჭება, ვერ ერკვევა დროის მიერ წინ წამოწეულ ამოცანებში, ან არ ხურს ფეი უსწოროს აღმშენებლობით მარშს, ცხადია, შორს ვერ წავა.

ახლა ხომ თითოეულ ახალ და სათანადოდ გააზრებულ ნაბიჯს, საფუძვლად ჩვენი სამეურნეო ყოფის მართლაც რევოლუციური გარდაქმნა უდევს საფუძვლად. ეტყობა, არ არსებობს პირველი თუ მეორეხარისხოვანი საქმე, ერთსაც და მეორესაც ერთმანეთთან მიზეზობრივი კავშირი აქვს. თუ კაცი ჯანმრთელი არ არის, თუ მას მხნედ მუშაობის უნარი არ შესწევს, ზედმეტია ლაპარაკი საერთოგლობალური ამოცანების გადაწყვეტაზე. სწორედ ამიტომ არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი უთუოდ დიდი მნიშვნელობისა, და მისი ყოველი კონკრეტული მოთხოვნის შესრულება ნებისმიერი სამინისტროსათვის, უწყებისათვის და საერთოდ, ვისაც კი იგი ეხება, გადაუდებელ ამოცანად უნდა იქცეს, კანონის ძალა მიეცეს.

საქმეს უკვე შეუდგა და ამ დადგენილების განხორციელების გზაზე უკვე პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — სწორედ იმან, რომელმაც თავის დროზე რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარუდგინა თავისი მოსაზრებები მოსახლეობაში ფიზკულტურულ-სპორტული შუაობის მასობრივად დანერგვის თაობაზე. თუ რა გაკეთა უკვე სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით, ჩვენი კორესპონდენტი მოგითხრობთ დღევანდელი ნომრის მეოთხე გვერდზე.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავლად არის მოუვლელი სპორტული დარბაზი თუ მოედანი, საწარმოთა ისედაც ცოტა აუზები ხშირად უმოქმედოა. საცხოვრებელ მასივებში მარტივი სპორტული მოედნები უყურადღებოდაა მიტოვებული და მათი გამოყენებისათვის სახლმმართველობათა წარმომადგენლები თავს არ იწუხებენ, ჩვენს რესპუბლიკაში ფასიანი ფიზკულტურულ-სპორტული მომსახურების დანერგვაც ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, და ეს იმ დროს, როცა საუკეთესო სპორტული ბაზები კვლავ დაუტვირთავია. მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, დავასახელებთ მხოლოდ ორს: თავისუფალი დროის ბიუჯეტიდან თბილისის 170 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლიდან მარტო 12 სკოლამ დაუთმო თავისი ბაზები მოსახლეობას, დანარჩენები კი სრულად არ არის დატვირთული. ზაპესის დასახლების ტერიტორიაზე სტადიონისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე სათბური გააშენეს, სპორტული კომპლექსისათვის გამოყოფილ ადგილას კი სრულიად სხვა დანიშნულების კაპიტალური შენობა წამოჭიმეს...

ამიტომაც, თითქოს არ უნდა გეჭირდებოდეს მტკიცება იმისა, რომ იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ამოცანებთან ერთად, რომლებსაც დღენიადაგ სახავს რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობა და მთავრობა მრავალდარგოვანი ორგანიზაციების წინაშე, ერთ-ერთი უაღრესად საარსებო ამოცანაა საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარება. ზრუნვა ადამიანების ჯანმრთელობისათვის, მათი შრომისუნარიანობის გაზრდისათვის, მოკალაქეთა სიცოცხლისა და აქტიური საქმიანობის გახანგრძლივებისათვის. და აი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მისი ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნითა და მხარდაჭერით ამ საშვილშვილო საქმის განხორციელებისათვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დაევალა 1987 წლიდან დაწყებული თბილისში (ორი), სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, გორში, გაგრაში და მარნეულში (თითო) გაშალოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების საპროექტო სამუშაოები და შემდგომ ამ ობიექტების მშენებლობა. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, მარნეულისა და გორის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები 1987 წლიდან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების ასაშენებლად საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გადაურიცხავენ იმ ასიგნებათა 0,6 პროცენტ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებიც მათ გამოეყოფათ შესაბამის დარგებში სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად. გარდა ამისა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო მოახდენს ყოველგვარი შემოსავლის, მათ შორის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიზნობრივი გადასახადების სამპროცენტიანი ანარიცხების საერთო თანხის 30 პროცენტის ცენტრალიზაციას, რათა გამოიყენოს იგი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების ასაშენებლად და რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების მოსაწყობად. რესპუბლიკის საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროსათვის დახმარების აღმოჩენა დაეკისრათ და შესაბამისი დავალებები მიეცათ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის მიმართველობის სამმართველოს, სახმშენს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, ფინანსთა, ჯანმრთელობისა და ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირს, რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტს, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. ამ ორგანიზაციებთან ერთობლივად მუშაობის შედეგად განისაზღვრება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების სტრუქტურა და შტატები, შემუშავდება და დამტკიცდება შესაბამისი დებულება საბეურნეო ანგარიშზე მუშაობის გათვალისწინებით. გამოიყოფა ინსტრუქტორ-მეთოდისტთა კვალიფიციური კადრები, ექიმები, სამედიცინო აღჭურვილობა, სპორტული ინვენტარი და ფორმები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების მშენებლობისა და შეკეთებისათვის, მშენებარე ობიექტების პირველი ან სარდაფის სართულები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისათვის, მოეწყობა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ინსტრუქტორ-მეთოდისტებისა და პედაგოგ-ორგანიზატორებისათვის, გამოიცემა სასწავლო მეთოდიკური ლიტერატურა მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხებზე, განისილება შესაძლებლობა იმისა, რომ სახალხო დეპუტატთა აღმასკომების საბინაო-კომუნალურ ქვეგანყოფებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეიქმნას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის ორგანიზატორთა სამტატო თანამდებობები, გავრცელდება საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებისათვის, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატებისათვის სპორტული ფორმების, ინვენტარისა და აღჭურვილობის ულიმიტოდ მიყიდვის წესი. გარდა ამისა, კატეგორიულად აიკრძალა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე სხვა ობიექტების მშენებლობა.

ის, რაც მიზნად არის დასახული, უეჭველად უნდა ახდეს!



— დღეს კვირა

დღეა!

— გამოდით გარეთ!

დაეწაფეთ

სიმხნევის წყაროს!

გაზეთ „კომუნისტისა" და საინფორმის ფოტოკორესპონდენტების ჯ. ლომაძის, ა. სააკოვის, დ. იაკობაშვილის, ი. ბაევის, გ. კიკვაძის, ი. ფლამოვის, ე. რასოლევისა და გ. ცაბარლის აქ მოყვანილი ფოტოებიც ხომ სწორედ ამისთვის მოგვიწოდებს.

# შეიძლება თუ არა გაცდენილის ანაზღაურება?

**სახალხო** მეურნეობის მეტწილ დარგებში მუშაობის დაჩქარება, როგორც წესი, ჩამორჩენის ლიკვიდაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ მშენებელთა საქმე სხვაგვარად არის. მათ სჭირდებათ სამშენებლო კომპლექსის ყველა რგოლის მოქმედების სისტემატური ზუსტი გრაფიკი. მაგალითად, წლის დამდეგიდან დაახლოებით ხუთი თვისმა რკინიგზის ვაგონმა ვერ მიიტანა ტვირთი დანიშნულებით. შეცვალა რა თავისი პოზიციები, ამიერკავკასიის რკინიგზას შეუძლია გაცდენილის ანაზღაურება. მაგრამ მშენებლები ამას ახე ადვილად ვეღარ მოახერხებენ. შენობას რამდენიმე თვის ნაცვლად რამდენიმე დღეში ხომ ვერ ააგებ, რა უხვადაც უნდა მოგამზადონ საამისოდ სამენი მასალებთ, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მოქმედების კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის თათბირზე.

ამავე დროს მშენებლებისათვის ყველაზე საჭირო მასალები ლიმის დეფიციტად იქცა. ეს არის ცემენტი, ქვიშა, შიფერი, რომ ალარაფერი ვთქვათ, პარკეტზე, სანტექნიკაზე, მოსაპირკეთებელ მასალებზე. წლის მიწურულს მათი მიწოდების დაჩქარება ნაკლებეფექტიანია. იგი იწვევს აჩქარებას, აქეთითებს ხარისხს. მშენებელთა საჭიროებებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გახდა იმის მიზეზი, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში ჯერ არ დაწყებულა წლის მეოთხე კვარტალში ჩასაბარებელი 15 მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა. თუ უახლოეს ხანს მდგომარეობა არ გამოსწორდა, წლის დამლევს ვერაფრით ვერ აიცილებენ თავიდან იერიშობანას.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საქალაქოშენში. საექსპლოატაციოდ გადაცემული ბინები წლიური მოცულობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. რა თქმა უნდა, აღინიშნა თათბირზე, სოფლის მშენებლებს ხელი შეუშალა სტიქიურმა მოვლენებმა, შემდეგ კი ჭრახელსაყრელმა ამინდის პირობებმა. რესპუბლიკის 27 რაიონში ბოლო დრომდე რამე სამშენებლო სამუშაოების წარმოება შეუძლებელი იყო. ზოგან მხოლოდ ახლა გაიხსნა საავტომობილო გზები. ამიტომ სოფლად ყველაზე ინტენსიური სამუშაოები უნდა წარმოებდეს წლის თბილ პერიოდში, ამასთან ზაფხულის მანძილზე შეიქმნას გარკვეული მარაგი.

თათბირზე სამშენებლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა კომპეტენტურობის საკითხიც დაისვა. ხშირად ისინი, გარდა იმისა, რომ ვერ მართავენ სიტუაციას, ვერც ფლობენ მას, არ იციან, რით არის გამოწვეული ესა თუ ის ჩამორჩენა, როგორი დახმარებაა საჭირო მის დასაძლევად. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუთავსებელია დარგში მიმდინარე გარდაქმნასთან, დროის ახალ მოთხოვნებთან.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების, გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

# საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვლოძმეე ნატორფი და მისი მეუღლე.

მეგობრული საუბრის დროს გამოთქვა ორმხრივი მისწრაფება გაფართოონ საქართველოს სს რესპუბლიკისა და პოლონეთის საქმიანი, კულტურული და სამეცნიერო კავშირურთიერთობა. განიხილეს პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარების, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობანი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის ვიზიტს, მის შეხვედრას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ევროპისა და მთელ პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების საქმისათვის.

შეხვედრაზე ითქვა, რომ პოლონეთის საზოგადოებრიობა დიდი დაინტერესებით და ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოს მშრომელთა მიღწევებს, რესპუბლიკაში გარდაქმნის მიმდინარეობას. მე, თქვა ელჩმა, საქართველოსადმი განსაკუთრებული გრძნობები მაქვს, ჩემი მეუღლე ხომ ქართველია, დაიბადა და გაიზარდა თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

ვ. ნატორფი ეწვია კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, დაათვალიერა საზეიმო რიტუალების სასახლე, ქალაქის რესტავრირებული ძველი უბნები. საქართველოს საზღვარგარეთ ი ს ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა შეხვედრა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტებთან. (საქინფორმი).

# კოლმეურნეობების საბჭოს სხდომა

**გარდაქმნის** პირობებში კოლმეურნეობების ცხოვრებისა და საქმიანობის საკითხები განიხილა კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს სხდომამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში.

განიხილეს კოლმეურნეთა მეოთხე საკავშირო ყრილობის მოწვევისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით კოლმეურნეობების საბჭოების ამოცანების საკითხი.

სხდომაზე გამოსულმა კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს წევრებმა ღრმად გააანალიზეს თანამედროვე პირობებში მეურნეობათა საქმიანობა, გამოავლინეს არსებითი ნაკლოვანებანი სოფლად დაგროვილი პოტენციალის გამოყენებაში.

კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ვ. ს. მოროზოვი.

(საკინფორმი).

## სტიქია და ადამიანები

### ისევ სეტყვა...

**სეტყვა** ისევ ანადგურებს კახეთის რაიონების სავარგულებს და ბალ-ვენახებს.

4 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფლებში: ველისციხის, ახაშნის, ვაზისუბნის, მუკუზნის საზოგადოებრივ მეურნეობებში მთლიანად დაისეტყვა ასობით ჰექტარი ვენახი, 44 ჰექტარი საზამთროს, 87 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესები, 33 ჰექტარი ხეხილის ბაღი. წყალმა დატბორა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ნათესები. წინასწარი მონაცემებით ზარალი ორნახევარი მილიონი მანეთია.

სეტყვა ყვარლის რაიონის სოფლებსაც მისწვდა. გაგაზის კოლმეურნეობაში 600 ჰექტარი ვენახი დაისეტყვა, აქედან 100 ჰექტარი მთლიანად განადგურდა.

ახლა ქუდზე კაცია გასული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

**დ. გეგეშიძილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

### კვლავ ღვარცოფი...

**ონის** რაიონიდან ტელეფონით გვაცნობეს: ღებში, ჭიორასა და გლოლაში კოკისპირული წვიმებისა და თოვლის ინტენსიური ლღობის შედეგად წარმოიშვა ღვარცოფის ნაკადები. ღებში სტიქიამ დააზიანა ეზოები და ბაღ-ბოსტნები, საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ ნაგებობებს.

სტიქიასთან ბრძოლის რაიონული შტაბის გადაწყვეტილებით, ოცდაათი ოჯახი დროებით გახიზნეს უსაფრთხო ადგილებში. ჭიორაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ოჯახია ევაკუირებული. რთული მდგომარეობა შეიქმნა სოფელ გლოლაში, სადაც ღვარცოფი ორჯერ დაატყდა თავს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს. აქაც სასწრაფოდ გახიზნეს რამდენიმე ოჯახი და შეძლეს თავიდან აეცილებინათ მსხვერპლი.

ახლა ადგილებზე შექმნილ ვითარებას სწავლობენ გეოლოგები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ სამშიროების დონე. 5 ივნისს რიონში წყლის დონემ რამდენადმე იკლო.

(საქინფორმი).

### და კიდევ ჭორი გვინდა?!

**ხომ** ასე გაგვიმეტა დედაბუნებამ, რამდენიმე თვეა, ხომ ასე ყოველდღიურად მოდის შემზარავი ამბები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თითქოს ეს საკმარისი არ იყოს, ვიღაცა-ვიღაცეები ჭორებითაც წამლავენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების გუნება-განწყობილებას, შიშს თესავენ მოსახლეობაში.

აი ახლახან გავრცელებული ჭორიც: ლაგოდეხის რაიონში მიწა გუგუნებს, ვულკანის ამოფრქვევაა მოსალოდნელი...

„კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს **შენდიჭეტა ბალავაძეს.**

**— მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის გასაგონად ვამბობ, რომ ეს არის მორიგი ჭორი და მას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, ვინაიდან ინსტიტუტის განკარგულებაში არსებული დაკვირვებითი სეისმოლოგიური და სხვა მასალა არ მოწმობს იმას, რომ ლაგოდეხის რაიონში შეცვლილიყო სეისმური რეჟიმი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: შეგიძლიათ მშვიდად იყოთ!**

(დასასრული 3ე-4 გვ.)

## ...ᲔᲒᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

**6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ** — ყვავილების დღესასწაულის დღეს თბილისელებმა საჩუქრად რვა სკვერი მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ ქალაქის ფეხვახე მასივს კიდევ 80 ათასი კვადრატული მეტრი შეემატა.

... შაბათის დილაა. ცა მოღრუბლულია, მაგრამ ათასობით თბილისელი მაინც გამოსულა, რათა დატკბეს ქალაქის სხვადასხვა რაიონში გაშენებული ახალი სკვერებით. ამიერიდან ისინი უფროსებისა და ბავშვების დასვენებისა და გართობის ადგილად იქცევა.

ყვავილების დღესასწაულზე მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გელაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

არნახულად იცვალა სახე სადგურ „ღრმაღელესთან" მეტრომშენებელთა ყოფილმა სამშენებლო მოედანმა. ახლა აქ მწვანე ოაზისია, რომელიც სილამაზითა და დაგეგმარების ორიგინალობით სკვერებს შორის საპრიზო ადგილზე აცხადებს პრეტენზიას.

ქალაქის დაშორებულ კუთხეში, გლდანის მასივის მეშვიდე მიკრორაიონში, სავაჭრო ცენტრთან ბავშვდა სკვერი.

— ბავშვთან ერთად მოვაზიაში რომ მივდივარ, — თქვა დიასახლისმა ლ. ქართველიშვილმა, — მშვიდად შემიძლია იგი დავტოვო სკვერში, სადაც ათობით სხვა ბავშვთან ერთად სასრიალოზე ისრიალებს, საქანელზე იქანავებს, სანამ მე ვივაჭრებ. ახლა ლამაზადაც კი გამოიყურება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, და ეს სილამაზე მათ მიანიჭა სკვერმა, სადაც დროთა განმავლობაში ახალი ნარგავები გაიზრდება და აქაურობა მწვანეში ჩაეფლობა.

წლითიწლობით მატულობს თბილისის მწვანე ფართობი, ძირითადად ახალ საცხოვრებელ მასივებში უბნებმორისი ტერიტორიების ხარჯზე. მაგრამ ქალაქის ძველ რაიონებშიც ცდილობენ ასფალტს გამოსტაცონ თუნდაც რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრი მიწა.

კამოს ქუჩა, №4. ამ დიდი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებლები, ფანჯრიდან რომ გადმოიხედავენ, ამიერიდან რუხ ასფალტს კი არა, სკვერის მხიარულ ფერებს დაინახავენ — სახლის წინ ფერადი ყვავილებით მოჩითული მწვანე ფარდაგი გაშლილა და ზედ ფერად-ფერადი სკამები დაუდგამთ.

მაგრამ ყვავილების დღესასწაულის ტრადიციული ცენტრია ყვავილების პავილიონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ცენტრალურ მეტრი მიწა.

## ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვლოძმეე ნატორფი და მისი მეუღლე.

მეგობრული საუბრის დროს გამოთქვა ორმხრივი მისწრაფება გაფართოონ საქართველოს სს რესპუბლიკისა და პოლონეთის საქმიანი, კულტურული და სამეცნიერო კავშირურთიერთობა. განიხილეს პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარების, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობანი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის ვიზიტს, მის შეხვედრას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ევროპისა და მთელ პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების საქმისათვის.

შეხვედრაზე ითქვა, რომ პოლონეთის საზოგადოებრიობა დიდი დაინტერესებით და ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოს მშრომელთა მიღწევებს, რესპუბლიკაში გარდაქმნის მიმდინარეობას. მე, თქვა ელჩმა, საქართველოსადმი განსაკუთრებული გრძნობები მაქვს, ჩემი მეუღლე ხომ ქართველია, დაიბადა და გაიზარდა თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

ვ. ნატორფი ეწვია კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, დაათვალიერა საზეიმო რიტუალების სასახლე, ქალაქის რესტავრირებული ძველი უბნები. საქართველოს საზღვარგარეთ ი ს ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა შეხვედრა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტებთან. (საქინფორმი).

# მიწა მადლიერია

**მიწა** ასმაგად გადაუხდის ზრუნვას იმათ, ვინც მის ნაყოფიერებას ამრავლებს. თვისებრივად ახალ დონეზე მელიორაციის აყვანა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც პარტიამ თანამედროვე ეტაპზე დაუსახა მელიორატორებს.

ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია და ხორციელდება მელიორაციის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის გრძელვადიანი პროგრამა, რომლის მიზანია სასურსათო ფონდის სტაბილური გაზრდა.

ახალი მიწების ათვისებისა და უკვე ათვისებულის რეკონსტრუქციის სამუშაოთა კომპლექსს, მდინარეებზე კოდორზე, ღალიზგაზე, გუმისთასა და ბზიფზე ნაპირგასამაგრებელ ღონისძიებებს ახორციელებს „საქმთავარწყალმშენის“ აფხაზეთის სამმართველო. შარშანდელთან შედარებით წელს სამუშაოთა მოცულობა 7 მილიონი მანეთით გაიზრდება და 17 მილიონს მიაღწევს.

ხუთწლედის მარტო მეორე წელს მელიორატორებმა ორი ათას ჰექტარზე მეტი ახალი მიწები უნდა აითვისონ გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. ათვისებულია ნიადაგის დახურული დრენაჟის პროგრესული მეთოდი, მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებენ კოლექტიურ იჯარაზე გადასასვლელად.

პროფესიულ დღესასწაულს ახალი წარმატებებით ხვდებიან „აფხაზწყალმშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი როლანდ ბერულავა, სატრანშეო ექსკავატორის მემანქანე ლეონტი ცაავა, ბულდოზერისტები ალექსი კვარანძია და ივანე ივანბა, მეამწე რამინ აბაშია და სხვები.

**სურათზე: სამმართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მელიორატორი ლეონტი ცაავა.**

**ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# საზეიმო სხდომა

**ახლა** რესპუბლიკაში აქტიური მიწათმოქმედებისათვის ვარგისი 3,1 მილიონი ჰექტარი ფართობიდან 463 ათასი ჰექტარი სარწყავია, ხოლო 151 ათასი ჰექტარი — დაშრობილია, პერსპექტივაში საქართველოს მელიორატორებმა უაღრესად პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. და იმაზე, თუ რამდენად წარმატებით წყვეტენ მათ, დამოკიდებულია სასურსათო პროგრამის შესრულება.

5 ივნისს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში გაიმართა მელიორაციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქწყალქსაკონტაციის“ უფროსმა ჯ. ქაჯაიამ.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ი. უბილავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

დასასრულ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ ინტერვიუ ● არჩევნების შესახებ

# დემოკრატიულობის გზით

## ექსპერიმენტი წითელწყაროს რაიონში

**დემოკრატიზაცია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნთაგანია. ის თავის გამოხატულებას პოვებს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ახლანდელ არჩევნებში როგორც მრავალმანდატიანი საარჩევნო წესი.**

**ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა წითელწყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მიხეილ გუნჩენკოს და რამდენიმე კითხვით მიმართა იმის შესახებ, თუ რას ითვალისწინებს ეს ახალი საარჩევნო წესი და როგორი იქნება მისი ექსპერიმენტი წითელწყაროს რაიონში.**

**— რით გამოირჩევა წინა არჩევნები ამ არჩევნებისაგან და რა სიახლეებია დემოკრატიზაციის თვალსაზრისით?**

— ახლანდელი არჩევნებისათვის მზადება ემთხვევა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ძალზე პასუხსაგებ ეტაპს—მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პროცესი, რამაც უნდა უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, მთელ ამ მუშაობას მძლავრ იმპულსს, დინამიზმს მატებს მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ღირსეული აღნიშვნისათვის.

ადგილობრივი საბჭოების მიმდინარე არჩევნები პირველია სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ, ყველასათვის ცნობილია თუ როგორ ვითარდება მის შემდგომ პერიოდში ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი, კერძოდ, როგორ ფართოვდება საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, უფრო აქტიურად მოქმედებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, იქმნება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იზრდება მშრომელთა მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქვეყნის მართვაში, მკვიდრდება ხელმძღვანელ მუშაკთა არჩევითობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა შემდგომი დემოკრატიზაციის პრინციპულ მიმართულებად მიიჩნია საარჩევნო სისტემის სრულყოფა. სწორედ მის შემდგომ მუშავდება შესაბამისი წინადადებანი.

მოკლედ რომ ვთქვათ, საარჩევნო სისტემის ეს ახალი მექანიზმი უზრუნველყოფს ხელისუფლების არჩევითს ორგანოებში მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლობას.

**— რა მიზანს, რა საფუძველს ემყარება ექსპერიმენტი წითელწყაროს რაიონში მრავალმანდატიანი საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით?**

— ისევე როგორც ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ინსტიტუტი, საარჩევნო სისტემაც უნდა გარდაიქმნას. სწორედ ამის გათვალისწინებით, ახლანდელი არჩევნები წითელწყაროს რაიონში ეწყობა ექსპერიმენტის სახით, „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონისა და „მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ექსპერიმენტის წესით მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 მარტის დადგენილების შესაბამისად.

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის ნომერში.

**— როგორ გავიგოთ მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, მათში დეპუტატობის კანდიდატთა წარმომადგენლობა?**

— მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების რაოდენობა რაიონული საბჭოს არჩევნებისათვის განსაზღვრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო საქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნებისა — რაიონული საბჭოს აღმასკომმა, არსებული საარჩევნო ოლქების გაერთიანებით.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საბჭოებში ასარჩევ დეპუტატთა საერთო რიცხვის ფარგლებში დაადგენენ თითოეულ მრავალმანდატიან ოლქში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას მოცემული ოლქის მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინებით.

მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დასახელებული დეპუტატების კანდიდატთა რიცხვი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ოლქში მანდატთა რაოდენობას (ესე იგი, თუ გვაქვს სამი მანდატი, უნდა დავასახელოთ და საარჩევნო ბიულეტენში შევიტანოთ დეპუტატობის ოთხი ან მეტი კანდიდატი).

მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება ხდება საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე.

**—როგორი იქნება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში, დეპუტატთა ასარჩევ ბიულეტენში შეტანილი რამოდენიმე კანდიდატურის არჩევის წესი?**

— არჩევნებზე ხმა ეძლევა ყველა რეგისტრირებულ და საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ დეპუტატობის კანდიდატს, მათგან არჩეულად ჩაითვლებიან ის დეპუტატობის კანდიდატები, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს სიაში შეტანილი ოლქის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი. თუ ხმის მიცემის შედეგად არჩეულ დეპუტატთა რიცხვი საარჩევნო ოლქში მანდატთა რაოდენობაზე მეტი იქნება, მაშინ ის დეპუტატები, რომელთაც ნაკლები ხმები მიიღეს, ჩაითვლებიან შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს არჩეულ სარეზერვო დეპუტატებად და მიეცემათ შესაბამისი მოწმობები. სარეზერვო დეპუტატები მონაწილეობას მიიღებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით, ისარგებლებენ საბჭოების დეპუტატთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უფლებათა დაცვის გარანტიით.

**— რა შედეგს იძლევა ექსპერიმენტი საერთოდ და, კერძოდ, დეპუტატთა შემდგომ საქმიანობაში?**

— რა თქმა უნდა, ექსპერიმენტი, მისი მიზანი მარტო არჩევნებით არ განისაზღვრება. ის მოიცავს საბჭოს შემდგომ საქმიანობასაც. თითოეულ მოქალაქეს მეტი უფლებები და საშუალება ეძლევა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება კანდიდატთა უფრო ფართო წრის მიმართ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს კი — უკეთ იცოდნენ მოსახლეობის განწყობილება და ნება-სურვილი.

დასასრულ მინდა გითხრათ, რომ ექსპერიმენტი როგორც სიახლე, როგორც ახალი წესი არჩევნებში, მოითხოვს ყველასაგან მეტ ყურადღებას, სიფხიზლეს დემოკრატიის პრინციპების განუხრელი დაცვისათვის როგორც დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებისას, ისე მათ არჩევნებში.

წითელწყაროს რაიონში გარკვეული ძვრები იგრძნობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, არსებითი გარდაქმნების მხრივ, მაგრამ კვლავ არის პრობლემები, რომელთა გადაჭრისათვის ფაროოდ უნდა იქნეს გამოყენებული მთელი საარჩევნო კამპანია.

ესაუბრა
**ვლ. მჟელდიუკვილი.**

# გაგააქტიუროთ მუშაობა

## საბჭოთა წარმომადგენლის გამოსვლა

**ვენა.** 5 ივნისს ვენის სრულიად ევროპის შეხვედრის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ი. ბ. კაშლევმა დასავლელ მონაწილეებს მოუწოდა გააქტიურონ მუშაობა, უარი თქვან შესაძლო მორიგებათა შეთანხმების გაჭიანურების ტაქტიკაზე.

კვლავ მიეპყრო ყურადღება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს, რომლებშიც გამოთქმულია მტკიცე გადაწყვეტილება ყოველნაირად შეუწყონ ხელი ვენის შეხვედრის დაგვირგვინებას შინაარსით და შეწონასწორებულ გადაწყვეტილებათა გამოტანით, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალურ პროგრესს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისა და განიარაღების საქმეში.

სოციალისტურმა ქვეყნებმა ვენის შეხვედრაზე შეიტანეს ათზე მეტი წინადადება უშიშროების საკითხებზე, რომელთა რეალიზაცია დააქვეითებდა ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონეს, შეამცირებდა შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს. ნატოს ქვეყნები ცხადყოფენ, რომ არ არიან მზად შეუდგნენ სერიოზულ მოლაპარაკებას ევროპის ხალხებისათვის ამ აქტიურ-ურ თემაზე. მათ დღემდე არ შემოუტანიათ არც ერთი წინადადება ევროპის უშიშროების სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებით.

ჰელსინკიდან სამი ვენის შეხვედრის სხვა ჯგუფებშიც, რომლებიც ეკონომიკური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, აგრეთვე ჰუმანიტარულ საკითხებზე მუშაობენ. ნატოს წარმომადგენლებს თავიანთ შეტანილ წინადადებებზეც კი არ სურთ სარედაქციო მუშაობა, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა.

დღესვე გაიმართა ვენის შეხვედრაზე წარგზავნილი სსრ კავშირის დელეგაციის პრესკონფერენცია. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ობსტრუქციონისტული გეზი მიზნად ისახავს შექმნას ყოფრაობის სიტუაცია სრულიად ევროპის ფორუმზე. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ზოგიერთი მოკავშირე დუმილით უვლიან გვერდს უშიშროების, განიარაღებისა და თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და ცდილობენ შეხვედრაზე გვერდი აუარონ მწვავე პრობლემებს, რომლებიც დღევანდელ ევროპას აწუხებს.

ყოველივე ეს, აღინიშნა პრესკონფერენციაზე, იწვევს შეშფოთებასა და ეჭვებს დასავლეთის წარმომადგენელთა იმ განცხადებების გულწრფელობაში, რომ ისინი ევროპის თანამშრომლობის ერთგულნი არიან.

◆ პორტუგალია

# საგინაო კრიზისი

**ლისაბონი.** როცა გაზეთები აქვეყნებენ მორიგ ინფორმაციას, რომ დაინგრა კიდევ ერთი მრავალბინიანი სახლი, პორტუგალიის დედაქალაქის მრავალი მცხოვრები შიშით მოაკლებს ხოლმე თვალს თავისი ბინის კედლებს. ლისაბონის პროფკავშირების კავშირის მონაცემებით, ქალაქში დაახლოებით 10 ათასი შენობაა, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება თავზე დაემხოს მობინადრეებს. მაგრამ ასეთი „სახლების“ მცხოვრებლებიც კი უკეთეს მდგომარეობაში არიან იმ 350 ათასზე მეტ ოჯახთან შედარებით, რომლებიც უბინოდ არიან მარტო დიდი ლისაბონის ზონაში.

როგორც პროფკავშირების კავშირი აღნიშნავს, ეს მონაცემები მოწმობს პორტუგალიაში საერთო საბინაო კრიზისს, წლითიწლობით სულ უფრო საშიშ ხასიათს რომ იძენს. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ამ დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უქონლობა, აცხადებს კავშირი.

# მთლიანად უჭერენ მხარს

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი მთლიანად უჭერს მხარს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინში გამართულ თათბირზე, და ყოველ ღონეს იხმარს მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის. ეს ხაზგასმულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს აქ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მოკავშირე სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, აღნიშნულია განცხადებაში, საერთაშორისო ვითარების ფართო ანალიზის საფუძველზე წამოაყენეს მთელი რიგი ახალი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქვეყნად გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და კოსმოსში მისი გავრცელების თავიდან აცილება. განიარაღების დარგში რეალურ მორიგებათა მიღწევა შესაძლებელი და აუცილებელია, რათა მსოფლიო უფრო მყარი გახდეს, კაცობრიობამ თავიდან აიცილოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე. ბერლინის თათბირის შედეგები ქმნის იმ ქვეყნებთან დიალოგის აქტიური პოლიტიკის განგრძობის შესაძლებლობას, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის უზრუნველყოფას. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ღრმად ჰუმანური ხასიათისაა სოციალიზმის პოლიტიკა, რომელსაც შვიდი ათწლეულის წინათ დასაბამი მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ.

„ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ“ დოკუმენტში ხაზგასმით აღინიშნა მოძმე სოციალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განსაკუთრებული თავდაცვითი ხასიათი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ თანამედროვე პირობებში სადავო საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით და პოლიტიკური საშუალებებით. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინა მთლიანად შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკის უმაღლეს პრინციპს. მისი მიზანია ყოველი ღონე იხმაროს, რათა გერმანიის მიწა-წყალზე აღარასოდეს წარმოიშვას ომის საფრთხე და იგი მხოლოდ მშვიდობის მებაირახტრე იყოს, აღნიშნულია განცხადებაში.

◆ ინდოეთი

# დიდი წარმატება

**დელი.** დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა და ინდოელმა მეცნიერებმა, რომლებმაც დაამთავრეს ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე ღრმა „ჩერი-1“ ჭაბურღილის გაბურღვა ქვეყნის ჩრდილოეთით ჰიმალაელ-პრადეშის შტატში. მიღებულია მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებმაც დაადასტურა საბჭოთა სპეციალისტების პროგნოზები რომ ჰიმალაის მთისწინეთში არის „შავი ოქროს“ მარაგი.

ჩვენ დიდ მადლობას ვუცხადებთ საბჭოთა მეგობრებს დახმარებისათვის, რომელსაც ინდოეთს უწევენ ნავთობის მოპოვების გაფართოებაში, თქვა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში „ოილ ინდია ლიმიტედის“ კომპანიის საბჭოს თავმჯდომარემ ს. ჩ. ნ. ჯატარმა. იმ დროს, როცა დასავლეთის ქვეყნებმა უპერსპექტივოდ მიიჩნიეს ნავთობის ძიება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა აღმოგვაჩინა ნავთობის ახალი დიდი საბადოები, განგვიმტკიცებინა ინდოეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მალე საბჭოთა მბურღავები ქვეყნის სხვა რაიონებში გაემგზავრებიან. მათი ახალი მისამართები გახდება დასავლეთი ბენგალია, კამბეის ყურის სანაპირო, მდინარე კაველის აუზი. ასე ესხმება პრაქტიკულად ხორცი ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობის დიდი მასშტაბის პროგრამას. იგი მოიცავს 2 000 წლამდე პერიოდს და ითვალისწინებს ხაზურ სამუშაოებსა და გამოკვლევებს გეოფიზიკასა და გეოლოგიაში, ნავთობგაზიანი საბადოების დაზვერვასა დ ექსპლოატაციას. რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა საბჭოთა ტექნოლოგია, რომლის წყალობით „მეორე სიცოცხლე“ შეიძინეს ჭაბურღილებმა, რომლებსაც მცირეპროდუქტიულად მიჩნევდნენ.

# ორ ივნისი ● საკდესი იუწყება

# უკსოფეხი

ფიქრები • მოვლენები

# შეხვედრები, საუბრები

**ბონი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილე ელენ ვებერი.**

ბულგარეთის ხელმძღვანელმა ილაპარაკა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის შედეგებზე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის მდგომარეობაზე და ბულგარეთში ეკონომიკურ მშენებლობაზე. მასობრივი მოსპობის იარაღის არსებნლების ზრდა, ხაზგასმით აღნიშნა მან, მოითხოვს ახალ მიდგომას ომისა და მშვიდობის პრობლემების გადაჭრისადმი, აგრეთვე გლობალური და რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებისადმი.

ტ. ჟივკოვმა აღნიშნა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიდოს შეთანხმება ევროპაში ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის რეიკიავიკში მიღწეულ პრინციპულ მორიგებათა საფუძველზე.

ე. ვებერმა ილაპარაკა მშვიდობის განმტკიცებისათვის დასავლეთ გერმანიის კომუნისტთა ბრძოლის შესახებ. სოციალისტური სახელმწიფოების სამშვიდობო ინიციატივებს, განაცხადა მან, ფართოდ უჭერს მხარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

**ვარშავა.** აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკისა და პოლონეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯაო ძიანმა შეხვედრა.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ოროვე ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პროცესების შესახებ. გამოითქვა კმაყოფილება პოლონეთ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებისა და პერსპექტივების გამო.

ბირთვულ ერაში საჭიროა ახალი აზროვნება, გლობალური აზროვნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხაზგასმით აღნიშნა ვ. იარუზელსკიმ ჩინელი სტუმრის პატივსაცემად გამართულ სადილზე. საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ინიციატივები, ნოვატორული მიდგომა განიარაღების პრობლემებისადმი ბირთვული დაღუპვის საფრთხისაგან ქვეყნის განთავისუფლების, საერთაშორისო ურთიერთობის მტკიცე გაჯანსაღების რეალურ შესაძლებლობას ქმნის. ეს მკაფიოდ დადასტურა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირმა.

ჯაო ძიანმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ ჩინეთი ახორციელებს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას და თავის მოვალეობად მიაჩნია ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ხალხის ერთობლივი ბრძოლის წყალობით კაცობრიობა დაძლევს ომის საფრთხეს.

ფოტოინფორმაცია

**პალესტინელ ლტოლვილთა ცამეტი ბანაკია იორდანიის ტერიტორიაზე. აქ ცხოვრობს 150 ათასზე მეტი კაცი, რომლებმაც ისრაელის აგრესიის შედეგად დაკარგეს სამშობლო. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოისპოს ამ აგრესიის შედეგები, ქვეყანა იღვწის ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისთვის.**

**სურათზე: იორდანიის ტერიტორიაზე განლაგებული პალესტინელ ლტოლვილთა ერთ-ერთი ბანაკი.**

**ი. უტკინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).**

# ქარაფშუტული განზრახვა თუ დაგეგმილი დანაშაული?

**შეწამებულად** სხვაგვარ, უფრო სერიოზულ ტონალობას იძენს დღითი დღე დასავლეთ გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოსვლები „რუსტის საქმის“ გამო — ამ 19 წლის ახალგაზმომცხვარმა მოყვარულმა მფრინავმა საბჭოთა საჰაერო სივრცე დაარღვია და მოსკოვში წოთელი მოედნის შორიახლოს დაეშვა.

თითქმის მიწყდა აქ ეიფორიული აღტაცება „თავზეხელაღებულის“ გამო, რომელიც ლამის ნაძლევით დასავლეთგერმანული რეალიზიური დღესასწაული — ამაღლების დღე დაჯდა, დაპირების თანახმად, თვით მოსკოვის ცენტრში. ამჟამად საღად, ეიურიდიული საფუძვლიანობით აანალიზებენ შემთხვევას, რომელსაც უმრავლესობა განიხილავს სრულიადაც არა მატიას რუსტის სასარგებლოდ.

აქაურ გაზეთებშიც და ტელევიზორების ეკრანებზე სულ უფრო მეტად გმობენ ამ „ჰუსარულ გამოხდომას“, როგორადაც იგი თავდაპირველად მონათლეს. რუსტის ლამის ჩარლზ ლინდბერგთან შედარების ცდასაც წარმატება არ ჰქონია. და რაც უფრო მეტი დაწვრილებითი ცნობები ჩნდება ამ ჯერჯერობით ბოლომდე გაურკვეველი ამბის გამო, მით უფრო დაღვრემილი სახეები უხდებათ რუსტის მშობლებს, მის პაპას და დიდედას, მით უფრო თავშეკავებული ხდება პრესის კომენტარები.

ამერიკის ეს-ბი-ესის ტელეკომპანიამ აჯობა თავის დასავლეთგერმანელ კოლეგებს — მან მთლიანად შეისყიდა ოკეანის გადმა პირდაპირი გადაცემა ჰამბურგთან მდებარე რუსტების სახლიდან. მამის, დედის, ძმის გაშეშებული ფერმკრთალი სახეები — ეტყობათ, რომ მხოლოდ შვილის ბედი აწუხებთ. რუსტის მეზობლებიც კი გაკვირვებული არიან: „ყოველთვის ისეთი სამაგალითო ყოფაქცევის ბიჭი იყოო...“

ის, რაც ცნობილი გახდა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდა ეს „ყოჩაღი ჰუსარი“ თავისი ფრენისათვის, სერიოზულ ფიქრებს აღუძრავს არა მარტო მის აეროკლუბელ კოლეგებს, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც. რუსტს სიტყვაც არ დაუძრავს მათთვის იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში გაფრენას აპირებდა და ჯერ კიდევ 10 მარტს შეუკვეთია და მიუღია ფრანკფურტის „აიზენშპიდის“ ფირმაში ოპერატიული სანავიგაციო რუკები, ე-3 და ე-4 ფურცლები, რომლებიც ჰელსინკიდან მოსკოვამდე მარშრუტისათვის სჭირდებოდა. 14 მარტს მან შეუკვეთა კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც დააკლდა სრული სანავიგაციო სურათისათვის. მან რომ ეს ქნა, მოწმობს დოკუმენტები, რომლებიც 5 ივნისს უჩვენეს დასავლეთ გერმანიის ტელევიზიით, აგრეთვე ინტერვიუ ფრანკფურტის ფირმის თანამშრომელთან.

გარდა ამისა, თვითმფრინავიდან, ეს კი იყო „სესნა 172“ ამერიკული მოდელის სპორტული ვარიანტი, რუსტის თხოვნით აიღეს სამი სამგზავრო საკარძელი. ისინი შეცვალეს საწვავით სავსე დამატებითი ავზებით. რუსტის მიერ გამოცხადებული მარშრუტის ოფიციალური ვერსია: გფრენა სკანდინავიაში. მაგრამ „უაღრესად დისციპლინიანი მფრინავი“, როგორც მას აეროკლუბში ახასიათებენ, არ დასჯერდა ჩრდილოეთ ევროპის მატერიკის ნაწილს, იგი, როგორც აქაური პრესა წერს, ჩაფრინდა ისლანდიაშიც, რეიკიავიკში, ოკეანის გავლით.

...და აი, მან დასვა თვითმფრინავი. „სიიდანრაც“ გაჩნდა ინგლისელი ტურისტი, რომელმაც მოასწრო ფირზე გადაეღო თვითმფრინავის მოახლოების მომენტიც, საში, უაღრესად სარისკო მობრუნებაც და მისი დაჯდომაც.

ძნელი სათქმელია, მოსკოვში რა დახვედრის იმედი ჰქონდათ თვით რუსტს და იმათ, ვისთანაც ერთად, თუ ასეთები იყვნენ, გეგმავდა ამ ფრენას. ყოველ შემთხვევაში, აქ ახლა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ იგი მარტოკა ვერ გაბედავდა ასეთ, ჯერჯერობით ასე ვუწოდოთ, ავანტიურას — უფრო გამიცდილი ინსტრუქტორები ან კონსულტაციის მიუღებლად და მოუმზადებლად.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება, რომელმაც უნდა გაარკვიოს ამ ამბის ყველა დეტალი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბულვარულ პრესაშიც კი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს მომხდარი ამბის საღი გარჩევა და ცდილობენ სწორი შეფასება მისცენ მას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მაშინვე გამოაცხადა, რომ ნებადაერთული ეიდება რუსტის ფრენას და გააფრთხილა სხვები, ნუღარ გადადგამენ ასეთ ნაბიჯს. აეროკლუბელი ნაცნობი მფრინავები, უბრალოდ რუსტის კოლეგები გულისწყრომით გმობენ „ბავშვურ საქციელს“. „ვერაფერი გმირობა და საქმანადოდებელიაო“, — ამბობდნენ 5 ივნისს ტელევიზიით პროგრამის წამყვანიც და შემთხვევის თვითმხილველნიც — დასავლეთგერმანელი ტურისტები, გერმანული ოპერის მუშაკები, რომლებიც იმ მომენტში მოსკოვში იყვნენ და ახლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნდნენ.

„თუ რუსტი წინასწარგანზრახვით გაფრინდა მოსკოვს, — განაცხადა ჰამბურგში მისმა აეროკლუბელმა ამხანაგმა ვილენმა, — ეს მოწმობს „უსაზღვრო ჭარაფშუტობას და საშიშ მოქმედებას“. საინტერესოა, რანაირად აღმოჩნდა რუსტი მოსკოვში „არაფინასწარგანზრახულად“, თუ უკვე ვახსენე სპეციალურად ამ მიზნით ნაყიდი რუკები?!

მრავალნი, ვისაც კი ვესაუბრე ამ დღეებში, მეკითხებიან: „იქნებ, ზოგ-ზოგებს დასავლეთში ძალიან სჭირდებოდათ, რომ რუსტს არ მიეღწია მოსკოვამდე, რომ იგი ჩამოეგდოთ გზაში?“

როგორც ვინდა იყოს, „გაზეთის სათაურები გაფერმკრთალდება“, თქვა 5 ივნისს „ბრენპუნქტის“ (ცხელი წერტილის) ტელეპროგრამის წამყვანმა, მომხდარის გამო უსიამოვნო შთაბეჭდილება კი დარჩება. რუსტი ვერც გმირი გახდა და ვერც მსოფლიო გააოცა. იგი საფრთხეში აგდებდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ უმრავ ადამიანსაც.

**ი. იასონტოვი,**
(„პრავდის“ სპკ. კორ.)

ბონი, 5 ივნისი.

„პრავდა“, 1987 წლის 6 VI.

# ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა ვ ლ ჩ ო ს წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

**ტოკიო.** 6 ივნისს სსრ კავშირის საელჩომ იაპონიაში გააკეთა წარდგინება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიის ხელისუფალნი პროვოკაციულად მოითხოვენენ პოლიციაში გამოცხადდ

# ილია და ქართველი მწერალი ქალები

**თუ ვინმე** დაინტერესებულა ქართველი ქალის ბედით, მისი მომავლით, მისი გამოფიზიწლებით, სწავლა-განათლებითა და ინტელექტუალური ცხოვრებით, მათ შორის უმირველესი დიდი ილია ჭავჭავაძე იყო.

ილიამ თავის გაზეთ „ივერიაში“ მოწონავე წერილად სიამოვნებით დაბეჭდა ე. გაბაშვილის ერთ-ერთი შესანიშნავი სტატია „ჰარელ ქალთა უმწეო მდგომარეობის შესახებ. საერთოდ ეკატერინე გაბაშვილი ერთი იმ ბედნიერთაგანი იყო, რომელსაც თავიდანვე წილად ხვდა გაზეთ „ივერიისა“ და დიდი ილიას მხარდაჭერა.

ერთხელ, ქართველი მწერალი ქალების ჯგუფს გადაეწყვიტა — გაეხსნათ ბაკალეა და აქ შემოსული ფულით დახმარებოდნენ საზღვარგარეთ თუ რუსეთში სასწავლებლად წასულ ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს.

ცხადია, ისინი ილიასთან შეუთანხმებლად ნაბიჯს არ გადადგამდნენ. ამ საქმის მოსაგვარებლად ქალებმა ოლღა გურამიშვილი წაიმძღვარეს წინ.

მე არამთუ ჩემს მეუღლეს — უთქვამს ილიას, — არამედ არც ერთ ქართველ მწერალ ქალს არ ვურჩევ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს... გირჩევთ თქვენი თავი ისეთ რაიმე კეთილშობილ საქმეში სცადოთ, რაც ქალებს უფრო შეეფერებათო.

ილია ჭავჭავაძემ ბევრ მწერალ ქალს უწინასწარმეტყველა კარგი მომავალი და გზაც დაუღოცა. ამ მხრივ მას ძალიან ემადლიერებოდა მწერალ-დრამატურგი ნატალია აზიანი. ილიას მოსწონდა მისი ბასრი კალამი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა იმ ფუქსავატ, უდარღელ ადამიანებს, რომელთაც თავისი ქვეყნის ბედ-იღბალი არ აინტერესებდათ.

ნამდვილად დიდი ილიას დამსახურება იყო 1897 წელს ნატალია აზიანის ცნობილ პიესის „ინეანერი და დოხტურის“ სცენური ხორცშესხმა.

— გახსოვდეს, არ გაყოყოჩდე, — უთქვამს ილიას, როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შეხვედრია მას. — ბლომად იკითხე, სანამ ახალგაზრდა ხარ, თორემ შემდეგ ცხოვრება იმდენ საზრუნავს გამოგიჩენს, კითხვისათვის ვეღარ მოიცლი, სცენაც კარგად შეისწავლეო.

ჯიოვანნოლის „სპარტაკის“ მთარგმნელი ნინო ყიფიანი ილია ჭავჭავაძეს მაშინ დაუახლოვდა, როცა დიმიტრი ყიფიანის ოჯახში შეედგა რძლად.

ილია რომ უკანასკნელად ესტუმრა ქვიშხეთს, დიმიტრი უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ნინო, დიმიტრი ყიფიანის ოჯახს რომ შეეფერებოდა, ისე დახვედრია საპატიო სტუმარს. სუფრაზე ილიასადმი სიტყვის თქმაც ნინოს დაავალეს თურმე, რისთვისაც ჩინებულად გაურთმევია თავი.

„ივერიის“ ფურცლებზე ილია სიამოვნებით ბეჭდავდა ხოლმე ნინო ყიფიანის წერილებს.

„მარტო იმიტომ კი არ მიყვარხარ, რომ ნიჭიერი ქალი ხარ, — უთქვამს ილიას — სარჯიშელების სახლში გამართულ სუფრაზე, — არამედ იმიტომ, რომ ჩემი ძვირფასი დიმიტრის საყვარელი ადამიანი იყავი, შენ ის ქალი ხარ, რომლის სურათს იგი მუდამ თან ატარებდა ჯიბით... ვაგლახ, ყველა ქალი როდი იმსახურებს ამ პატივს“...

ასე აფასებდა დიდი ილია ქართველი ქალის სახელს და ღირსებას.

ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი და პატივისმცემელი იყო ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა. მან სახელოვან მწერალს ფართოდ გაუღო თავისი განთქმული საკრებულოს კარი, რომელიც ჩვენი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ეროვნული საქმიანობის კერად იქცა. ამ საღამოების სულისჩამდგმელი და დამამშვენებელი ქართული მწერლობის, მწიგნობრობის, ხელოვნების დიდი პატივისმცემელი, მეცენატი ეკატერინე სარაჯიშვილი იყო. მისი თხოვნით ნიკიკითხა ი. ჭავჭავაძემ ხსენებულ სალონში ორი ანლად დასტამბული ნაწარმოები „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული 80-90-იანი წლების ფართო დიაპაზონის პოეტი ქალის დომინიკა ერისთავ-განდეგილის ლიტერატურულ სარბელზე გამოსვლა. იგი გაზეთ „ივერიაში“ თვითონ ილიამ მიიწვია, როგორც ქართული ენის კარგი მცოდნე. და სულ მალე რედაქციის განყოფილება ჩაბარა.

დ. ერისთავ-განდეგილი 19 წელიწადი მუშობდა. ილია ჭავჭავაძის გვერდით. იგი იყო მისი მარჯვენა ხელი. და მისი არ ყოფნის დროს ილიას მაგიერობაც გაუწევია ხოლმე. მათ მეგობრობასა და კეთილურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს, ჩვენ მიერ მოკვლეული პატარა წერილიც, რომელშიც დიდი ვაჟა განდეგილს სწერს:

„ჩემო კარგო დომინიკა, საღამოს გამოვივლი და მზად დამხვდი, საღამოს ილიას უნდა ვესტუმროთ საგურამოში“.

როგორც წერილიდან ჩანს, განდეგილის საგურამოში სტუმრობა შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო, იგი ხშირი მონაწილეკი იყო იმ მეჯლისებისა და საღამოებისა, რომელთა სულისჩამდგმელი ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი გახლდათ. ოჯახის ახლო მეგობარი პოეტი ქალი განდეგილი ხშირად მიაშველებდა ხოლმე ხელს ოლღა გურამიშვილს. განსაკუთრებით „ილიაობაზე“, როცა უცხოეთიდან თუ რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები ილიას მასპინძლობით მოხიბლულნი ერთ დღეს მეორესაც გადაბამდნენ.

ილია ჭავჭავაძე განდეგილის იდეალი იყო, თავისი ფსევდონიმიც ხომ პოეტმა ქალმა ილიას დიდებული პოემის „განდეგილის“ სიყვარულით აირჩია.

1902 წელს, როცა დომინიკა ერისთავმა ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ კომედიის თარგმანი წარუდგინა გამოსაცემად, ილიამ ამ თარგმანს სიამოვნებით მოაწერა ხელი და მისი რედაქტორობა იკისრა.

ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა დ. ერისთავ-განდეგილი გაზეთ „ივერიის“ პრესტიჟისათვის, როგორ ცდილობდა თითო სტროფიც კი გამოეგლიჯა ცენზურისათვის.

ცნობილია, თუ რა შფოთი და მღელვარება გამოიწვია ბანკის დაარსების საკითხმა, რამდენ ხანს გასტანა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბელს შორის დავამ. სწორედ ამ საერთო მღელვარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული დღეს ჩვენ მიერ მიკვლეული უცნობი წერილი დომინიკა ერისთავ-განდეგილისა ი. ჭავჭავაძისადმი, რომელშიც ურჩევს ილიას დაეშოშინოს მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა. ამ წერილიდან კარგად ჩანს პოეტი ქალის დომინიკა ერისთავ-განდეგილის პატრიოტიზმი და დიდი პატივისცემა ილიას პიროვნებისადმი.

1907 წელს, როცა ილიაზე თავდასხმის ამმავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს, თავზარდაცემული მწერალი ქალები ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე გაბაშვილი. საჩქაროდ ეტლით გაემგზავრნენ საგურამოსაკენ, მაგრამ ილია უკვე ცოცხალი აღარ იყო.

დაკრძალვის დღეს ნინო ნაკაშიძე ქართველი მწერალი ქალების სახელით გამოემშვიდობა ილია ჭავჭავაძის ცხედარს:

„შენი სამარის წინაშე თავმოყრილი ქართველი ქალები ამისათვის დაგტირიან, რომ ადამიანური უფლებების ერთგული ქომაგი იყავი, ამან მისცა ფასი და მნიშვნელობა შენს საუკეთესო ნაწარმოებებს...

აზრის მომდინარეობამ მოიტანა, და ახლავე მივმართავთ განმარტებას, რომლის მსგავსი, ჩვეულებრივ, რეცენზიის ბოლოს ვადაავეთ ხოლმე — მოსალოდნელია დაიბადოს კითხვა, რატომ გამოჭვეყნა ავტორმა ფართო პლანით ჩაფიქრებული მონოგრაფიის ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნაწილი? არსებობს სულ ცოტა, ორი გარემოება, რომლებიც ნათლად მეტყველებს წიგნის გამოცემის საჭიროებასა და აუცილებლობაზე: ა). სამწუხაროდ, ბოლო ხანს გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ილიამეცოდნეობის მონაპოვრებს. მათი გაორმაგება კი საშორი საქმეა. გამორიცხული არ არის ზოგი მათგანის სრული გადაფასების საჭიროება, მაგრამ მოპოვებულისა და ანგარიშგასაწევის დუმილით გვერდის აქლის ილი წესით უგულებელყოფა მხოლოდ და მხოლოდ საზიანოა. ახალი სიტყვის თქმის დაოკებელი სურვილიც ზოგჯერ გულუბრყვილობისა და პროვინციალიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობ, ჭეშმარიტების მოგნებით დაინტერესებული ადამიანი ირწმუნების, თუ რაოდენ აუცილებელია 130 წლის განმავლობაში ილიას შესახებ შექმნილი მრავალფეროვანი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა; ბ). სარეცენზიო წიგნის მიზანია პოლემიკური გამწვავების გარეშე ობიექტურად გადმოსცეს ავტორთა თვალსაზრისები. მაგრამ, ბუნებრივია, რომ თვალსაზრისთა სიჭრელე ავტორს უკარნახებს ზოგჯერ საკუთარი პოზიციაც გამოავლინოს. თუმცა იგი სრული სიცხადით შეახსენებს მკითხველს: „ჩვენი თვალსაზრისი არ მიგვაჩნიაო უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებად“, და




## საინტერესო და საჭირო ნაშრომი

**ისტორიოგრაფიული გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შესახებ.**

**გამომცემლობა** „მეცნიერებამ“ ახლახან მკითხველს შესთავაზა კიდევ ერთი ნაშრომი — პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნარკვევი „ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რეფორმატორულ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში“. ქართული ადრინდელი განმანათლებლობის, შემდეგ სამოციანელთა ღირსეული პლეადის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და მოღვაწეობის, სოციალურ-ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობის შესახებ მ. გაფრინდაშვილს არაერთი მონოგრაფია და ნარკვევი გამოუქვეყნებია. სარეცენზიო წიგნის შესახებ კი ავტორი წერს: „წინამდებარე ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნარკვევი ნაწილია ვრცელი მონოგრაფიისა, რომლის მიზანია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ძირითადი პრობლემების შესწავლა“. ხოლო ანოტაციაში კი ვკითხულობთ, რომ ნარკვევში „შესწავლილია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ეროვნული და კლასობრივი საფუძვლებისა და ზოგადად მისი განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის კვლევის 130-წლიანი ისტორია, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენს დრომდე“.

ზღვა მასალის მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესწავლა-დამუშავების და შეფასების შედეგად ავტორი მკითხველს უჩვენებს სურათს იმ აზრთა ჭიდილისა, რომელმაც იმთავითვე იჩინა თავი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების, კრიტიკულ-რეალისტური შემოქმედების და სოციოფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეფასებაში.

აზრის მიმდინარეობამ მოიტანა, და ახლავე მივმართავთ განმარტებას, რომლის მსგავსი, ჩვეულებრივ, რეცენზიის ბოლოს ვადაავეთ ხოლმე — მოსალოდნელია დაიბადოს კითხვა, რატომ გამოჭვეყნა ავტორმა ფართო პლანით ჩაფიქრებული მონოგრაფიის ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნაწილი? არსებობს სულ ცოტა, ორი გარემოება, რომლებიც ნათლად მეტყველებს წიგნის გამოცემის საჭიროებასა და აუცილებლობაზე: ა). სამწუხაროდ, ბოლო ხანს გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ილიამეცოდნეობის მონაპოვრებს. მათი გაორმაგება კი საშორი საქმეა. გამორიცხული არ არის ზოგი მათგანის სრული გადაფასების საჭიროება, მაგრამ მოპოვებულისა და ანგარიშგასაწევის დუმილით გვერდის აქლის ილი წესით უგულებელყოფა მხოლოდ და მხოლოდ საზიანოა. ახალი სიტყვის თქმის დაოკებელი სურვილიც ზოგჯერ გულუბრყვილობისა და პროვინციალიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობ, ჭეშმარიტების მოგნებით დაინტერესებული ადამიანი ირწმუნების, თუ რაოდენ აუცილებელია 130 წლის განმავლობაში ილიას შესახებ შექმნილი მრავალფეროვანი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა; ბ). სარეცენზიო წიგნის მიზანია პოლემიკური გამწვავების გარეშე ობიექტურად გადმოსცეს ავტორთა თვალსაზრისები. მაგრამ, ბუნებრივია, რომ თვალსაზრისთა სიჭრელე ავტორს უკარნახებს ზოგჯერ საკუთარი პოზიციაც გამოავლინოს. თუმცა იგი სრული სიცხადით შეახსენებს მკითხველს: „ჩვენი თვალსაზრისი არ მიგვაჩნიაო უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებად“, და




რომ ისტორიოგრაფიული ნაშრომი „კამათს ვერ აიცდენს“. ავტორი მოსურნეა ისეთი კამათისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შესახებ ჯერ კიდევ არსებულ ბურუსს გაფანტავს და სასურველ გარკვეულობას დამკვიდრებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გასაგები გახდება წიგნის საკმაოდ ვრცელი დასათაურების მიზანიც — ავტორი იმთავითვე გარკვევით მონიშნავს საკუთარ პოზიციას. თქმა არ უნდა, ძალიან ძნელია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მომენტების მთლიანობაში გაიზრება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შესაბამის ცნებათა და კატეგორიათა ოპერირებისათვის გვერდის აცლა წინაადმდეგობის დაძლევის ნაცვლად ზერელობისა და ბუნდოვანების ტყვეობაში ჩაგვაგდებს.

სასურველი იქნება დასრულებულ მთხოგრაფიაში უფრო ნათლად გამოჩნდეს განმანათლებლობის ისტორიულად ცვლადი, განვითარებადი შინაარსი, რითაც შესაძლებელი გახდება განმანათლებლობის იდეისეული კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის ორგანული ერთიანობა მის რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობასთან. ავტორის მიზანიც ის არის, რომ აჩვენოს ის აზრის უმართებულობა, თითქოს ილია განმანათლებელი არ ყოფილიყოს. საკითხის სწორად გაგების შემთხვევაში კი უნდა ვმსჯელობდეთ ილიასთან განმანათლებლობის უმაღლესი ისტორიული ფორმის გამოვლინებაზე, რაც არ შეიძლება დაემთხვას ილიას მსოფლმხედველობის უნიადაგო, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეფასებას.

ილიას მსოფლმხედველობის მატერიალისტურ საფუძველზე და ათეიზმზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავევლოს მატერიალიზმისა და ათეიზმის განვითარების გარკვეულ ისტორიულ ფორმას, რომელიც ბოლომდე თანმიმდევრული არ არის და, მაშასადამე, იდეალისტურ დანაშრევებს მოიცავს. ილიას გამარქსისტების, ესე იგი ფილოსოფიურ მატერიალიზმამდე და მეცნიერულ ათეიზმამდე მისი ამაღლების ყოველი ცდა მეცნიერებისაგან დაშორებული ანტიისტორიული თვალსაზრისია.

წიგნში პრობლემის კვლევის ისტორია სამ საფეხურად არის წარმოდგენილი (1857—1925 წ. წ., 1925—1965 წ. წ., 1966—1986 წ. წ.). თუმცა ავტორისავე მართებული შენიშვნით, ეს დაყოფა პირობითია, რამდენადაც პრობლემის კვლევის ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი ისტორიის დინამიკა განუწყვეტელ მიმდინარეობაშია ნაჩვენები. მოკლე რეცენზიაში ამ ისტორიის მიდევნება შეუძლებელია. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ წიგნის მესამე ნაწილში (გვ. 108—126) ავტორი აკვლევს საკუთარ დამოკიდებულებას ილიას მსოფლმხედველობის რელიგიური გაგების საწინააღმდეგოდ, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება დიდი სამოციანელის კრიტიკულ-რეალისტური შეთოდის და ესთეტიკური იდეალის მეცნიერულ შეფასებას.

მიხეილ გაფრინდაშვილის წიგნის გაცნობა მკითხველს ინტერესს უღვიძებს, რომ ახლო მომავალში იხილოს ავტორის მიერ შეპირებული დასრულებული მონოგრაფია. გამოქვეყნებულ ულ ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნაწილი გვაიმედებს, რომ დასრულებულ მონოგრაფიაში ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და ეროვნული ღვაწლის მთლიანი სურათი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებისდაგვარად იქნება წარმოსახული.

**ბ. დოგორჯგინიძე.**

## ბალანსი არარგზლი

3. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი

# დამნაშავე ხარ!..

ჩვენ შორის დადის,
ამხანაგად თუმცა
გვეგულვის,
დრო რომ დაუდგეს,
არ დაგვინდობს, —
მოჩვენებითი მხარდაჭერის
და სიერთგულის,
გადაგვარების ავი ბაცილა...
ის ჩვენს მიღწევებს
ეჭვიანი დუმილით
ხვდება,
წაფორხილებას
იმ ღრძო გულში აგებებს
სიცილს
და სიძნელის ჟამს,
როცა მხარში დგომა
გვჭირდება,
შეუმჩნეველი განდგომა
იცის...
ანდა მოგყვება
ჩვენს გრძნობებზე
ალესილ სიტყვით,
„განმკიცებელი“
ყოველდღიურ
ხინჯის და ნაკლის,
მხრებზე ჩკიდია
უმძიმესი „მაშვრალის“
ტვირთი —
ეს მხოლოდ სიტყვით,
და არა საქმით...
...დამნაშავე ხარ,
თუ დუმილით უვნებელ
ჩრდილში
უიმედობით დგანან
დაღლილი,
ხოლო შენივე წაყრუებით,
რიდით და შიშით
არის პატივში საქმოსანი,
ვიღაც თაღლითი.
ვერვინ დაჩრდილავს,
ვერც ვერავინ შეძლებს
ხელყოფას,
ერის და ხალხის
სიწმინდისთვის რაც
გიბრძოლია.
ხმა ამიღიე,
დამნაშავეს გადაეღობე,
არ დაიხიო,
არ დაუთმო,
ეხეც ომიან..

# „მუსიკა ხელს ჯაყოს ერთიერთგაგებას...“

**ორასი** კაცისაგან შემდგარმა მთელმა ჩვენმა კოლექტივმ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო მუსიკალურ ფესტივალში „ქება ვაზისა“, რომელიც ფოლავში გაიმართება პირველიდან ათ ოქტომბრამდე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების მენის შტატის საოპერო ხელოვნების მოყვარულთა თვითმოქმედი კოლექტივის ხელმძღვანელმა უოლტერ ნოვიკმა. იგი სპეციალურად ჩამოვიდა ფესტივალის ორგანიზატორებთან, რათა მოსთათბირებოდა თელავის დათვალიერების პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

— დღემდე არ წაშლილა თბილისთან ჩემი პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებები, — თქვა შემდეგ ამერიკელმა სტუმარმა. — ერთმანეთის გაგებაში დაგვეხმარა მუსიკა, რომელიც უხსოვარი დროიდან მოიჩქარის ჩვენკენ როგორც მშვიდობის კეთილი დესანი. მის გზაზე სავალალო შეფერხებებიც ყოფილა. მაგრამ მან გაიმარჯვა! და ჩვენ ვცდილობთ, რომ მუსიკა ყოველდეს მხოლოდ როგორც კეთილ საქმეთა მაუწყებელი, როგორც ხალხთა ურთიერთგაგების საუკეთესო საშუალება.

თბილისელ მსმენელებს დაახსომდათ ამ კოლექტივის კონცერტები, რომელიც შარშან შემოდგომაზე გამოდიოდა ჩვენთან. ამერიკელმა მოყვარულმა მომღერლებმა თბილისის კონსერვატორიაში თავიანთი კონცერტი დაიწყეს ძველი საგალობლით „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ქართულად შეასრულეს, ხოლო კონცერტის დასასრულს იმღერეს იმერული ხალხური სიმღერა. უმაღლესი სასწავლებლის საოპერო სტუდიის სცენაზე მათ წარმოადგინეს გერშვინის ოპერის „პორგი და ბესის“ ნაწყვეტები.

ამ შეხვედრამ დასაბამი მისცა ამერიკელი და ქართველი მუსიკოსების შემოქმედებითს თანამშრომლობას. თელავის ფესტივალზე ჩამოსული სტუმრები კვლავ აპირებენ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე გამოსვლას, სადაც ქართველ შემსრულებლებთან ერთად აჩვენებენ ს. ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტას“, ხოლო თავიანთი ძალებით წარმოადგენენ ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ნაწყვეტებს, რომლის კლავიერი სამშობლოში წაიღო უოლტერ ნოვიკმა.

(საქინფორმი).

# საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის მერიდიანზეა აშშ

**სტეფანი მეიზი:**

## თბილისს კიდევ დავუბრუნდები

**ახალგაზრდა** ამერიკელი ბიზნესმენი დევიდ კოენი არ მალავს, რომ პოპულარობა ესოდენ ადრეულ ასაკში მოიპოვა დიდ ფორმატიანი ფოტოალბომებით, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებაა ერთ დღეს გვაცნობენ. მისი უკანასკნელი წიგნია „ერთი დღე ამერიკის ცხოვრებიდან“, რომელიც 700-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა და მაშინვე დაიტაცეს.

ამჟერად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ორმოცდაათმა, ორმოცმა საბჭოთა და ათმა სხვა სოციალისტური ქვეყნების საუკეთესო ფოტორეპორტიორმა 15 მაისს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უდიდეს დიდმასშტაბიანი ფოტოგადაღება მოაწყო. ასი ათასზე მეტ კადრზე აღიბეჭდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ერთი დღის განმავლობაში. აქედან ოთხასამდე, რომლებიც სარედაქციო კოლეგიამ შეარჩია, შევა წიგნში „ერთი დღე საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან“, რომლის გამომცემებას დევიდ კოენი და ფოტოგრაფი რიკ სმოლანი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის აპირებენ. წიგნს დაბეჭდავს საგამომცემლო კორპორაცია „კოლინზ პაბლიშერსი“. ამ პროექტის განხორციელებაში მათ ახლა ამბების საააგენტო ეხმარებოდა.

საქართველოში ამ დღეს ოთხი რეპორტიორი მუშაობდა; სტეფანი მეიზი (აშშ) და ნიკოლოზ გნილიუკი (სსრკ) — თბილისში, სტივ კონრადი (აშშ) — სოხუმში და კორნელიუ მოკანუ (რუმინეთი)— ბათუმში.

**ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში სტეფანი მეიზმა თქვა:**

— როცა დევიდ კოენის ბოლო პროექტზე — წიგნზე „ერთი დღე საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან“ სამუშაოდ მიმიწვიეს, დიდი სიხარულით და მოლვარებით დავთანხმდი, თუმცა უნდა გითხრათ, რომ დევიდ კოენის ექვსივე წინა პროექტის განხორციელებაში ვმონაწილეობდი. ეს არის წიგნები, რომლებიც იაპონის, კანადის, ავსტრალიის, ჰავაის კუნძულებისა და ამერიკის ცხოვრების ერთ დღეს გვაცნობენ. ზუსტად ერთი კვირის წინათ ესპანეთში მჭონდა გადაღებანი.

თბილისში პირველად ვარ და პირველი შთაბეჭდილება ის არის, რომ აქაურები დიდად გულმოდგინედ მმასპინძლობდნენ, ყოველნაირად მეხმარებოდნენ მუშაობაში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს დედაქალაქის ისტორიამ. ძალზე მომხიბლავი, კოლორიტული ქალაქია და ხალისით ვიღებდი სურათებს თბილისის სხვადასხვა კუთხეში.

ახლა მიჯირს რაიმე საგანგებოდ გამოვყო. იქიდან, რაც გადავიღე. ჯერ კიდევ ბევრი რამ კარგად უნდა მოვიფიქრო. იქნებ იმიტომაც, რომ არც ესპანეთში, არც თბილისში თითქმის არ მიძინია, ჯერ-ჯერობით კი გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ მომეწონა ძალიან გემრიელი ქართული საჭმელები. კარგად ვგრძნობდი თავს იმათთან, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი, — ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტებთან, რომელთა დიდი მადლიერი ვარ ჟურნალისტური დახმარებისათვის. ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც ჩემი ფოტოსურათების გმირი გახდა.

ჩემზე გულშიჩამწვდომი შთაბეჭდილება მოახდინა ოქროს ქორწილმა, რომელიც საზეიმო რიტუალების სასახლეში გადაიხადა სევერიან ცაგერიშვილის ოჯახმა. დიდი სიამოვნებით ვაკვიანი ჩინებული ადამიანები — პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, სახელმოხვეჭილი ფალავანი ლევან თედიაშვილი, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეები, ძალისული კოლმეურნის ოჯახი. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვები, მოხუცი მეარღნეები...

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის მეამა, რომ საშუალება მომეცა შევხვედროდი სიბჭოთა ადამიანებს, მესაუბრა მათთან ქუჩებში, რაც შეიძლება მეტი რამ შეგეტყო მთ ცხოვრებაზე. ყველანი, ვისთანაც კი მისაუბრია, ძალზე გულახდილად და მეგობრულად იყვნენ განწყობილნი. წინათაც მსმენია, რომ ქართველები სწორედ ასეთები არიან.

**დ. იმედაშვილი.**

**სურათზე: სტეფანი მეიზი.**

**ვ. ჩაბან ზადეს ფოტო.**

# ეროვნული საკითხი

**ინტერვიუ**

## ეროვნული საკითხი

**ნინო ჩიხლაძე.**

**რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ჯონ ფოგერტის ჯანმრთელობის შესწავლის საერთაშორისო ცენტრის მიწვევით ამერიკაში იმყოფებოდნენ მოსკოვის ა. ბაუულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ლევან ბოკერია და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიისა და ჰეპატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ვახტანგ ფიფია. ორი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესწავლის პრობლემათა ინდივიდუალური გაცვლის პროგრამის შესაბამისად, საბჭოთა და ამერიკელ მედიკოსებს ერთმანეთისთვის უნდა გაეზიარებინათ ჯანთა გულის რიტმის სხვადასხვა ფორმის დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის გამოცდილება და შესაძლებლობები.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ პროფესორ ვახტანგ ფიფიას წერილს ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე.**

**გულის** რიტმის დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის ცენტრები განლაგებულია ამერიკის სხვადასხვა ქალაქში: ნიუ-იორკში, პიტსბურგში, ფილადელფიაში, სენტ-ლუისში... ამ ქალაქების ჰოსპიტლებში ყოფნისას ჩვენ გავიცანით დარგის წამყვანი ამერიკელი სპეციალისტები პროფესორები ჰ. ბანსონი (პიტსბურგის უნივერსიტეტი), ჯ. კაჭსი (სენტ-ლუისი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრი), მ. ჯოზეფსონი (ფილადელფიის პენსილვანიის უნივერსიტეტი), ს. ფურმანი (ნიუ-იორკის ალბერტ აინშტაინის კოლეჯი). ჩვენი მთავარი მასპინძელი პროფესორი ჰ. ბანსონი იყო — თავისი ქვეყნის პატრიარქი კარდიოქირურგიაში. იგი, აკადემიკოს ვ. ბურაკოვსკისთან ერთად, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მიერ გულის ქირურგიული მკურნალობის შესწავლის ერთობლივი პრობლემის კურატორი გახლავთ. მის საქმიან დახმარებას ყოველდღიურად ვგრძნობდით როგორც მუშაობის, ისე მოგზაურობის დროს.

გულის რიტმის დარღვევათა ქირურგიულ მკურნალობას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. დაახლოებით ამ საუკუნის 60-იან წლებში პირველად გაკეთდა ოპერაციები გულის ეგრეთ წოდებული განივი ბლოკის დროს. ამ სინდრომს ახასიათებს გულის რიტმის პათოლოგიური გაიშვიათება (40-ზე ნაკლები გულისცემა წუთში), რაც ხშირად ჯერ გულის მუშაობის უეცარ შეჩერებას იწვევს, რამდენიმე წუთით გონების სრული დაკარგვით, ხოლო შემდგომ ინვალიდობასა და სიკვდილს. გულისცემის გახშირების მიზნით ქირურგები ადამიანს უნერგავენ ხელოვნურ, მცირეგაბარიტიან აპარატს — „ელექტროსადგურს“, რომელიც გულთან მიერთებული სპეციალური ზონდის მეშვეობით უგზავნის მას 70-80 ელექტრომპულსს წუთში (ელექტროკარდიოსტიმულაცია).

საბჭოთა კავშირში რამდენიმე სპეციალიზებული ელექტროკარდიოსტიმულაციის ცენტრი არსებობს. ასეთი ცენტრი არის საქართველოშიც. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგიის განყოფილების ბაზაზე შექმნილია სპეციალისტთა ჯგუფი (ხელმძღვანელი — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. თედეევი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ჯ. ბოგვაძე და სხვები), რომელიც ემსახურება რესპუბლიკის მოსახლეობას. ჩვენს ცენტრში ოპერაციები და მანიპულაციები გულის განივი ბლოკადის დროს 1000-ზე მეტ ადამიანს გაუკეთდა. ჩვენ ვვყავს პაციენტები, რომლებსაც 17 წელზე მეტია ჩადგმული აქვთ ხელოვნური გულის რიტმის აპარატი.

კარგი შედეგი მოგვცა აგრეთვე გულის ინფარქტის დროს რიტმის დარღვევის ელექტროკარდიოსტიმულაციით აღდგენამ და სხვა.

# შეხვედრები ამერიკელ ქირურგებთან

ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრისას ჩვენ განვიხილეთ გულის რიტმის დარღვევის ქირურგიული მკურნალობის სხვადასხვა საკითხი. დავესწარით ძლიერ საინტერესო ოპერაციებს, განსაკუთრებით ტაქიკარდიის მკურნალობისას. ამერიკელი მკვლევრები გულის მუშაობის კომპიუტერული შესწავლით, როგორც წინასწარი გამოკვლევის, ისე თვით ოპერაციის მსვლელობის დროს, უხვ ინფორმაციულ მონაცემებს ღებულობ

მომსახურება, პრობლემები

# სტუდენტთა კვებას შეუნელებელი ყურადღება

**სტუდენტთა** კვებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამიტომ არის, რომ ეს საკითხი არაერთი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციის განსჯის საგანი ხდება. მართალია, ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა, გაფართოდა და მოეწყო როგორც სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ქსელი, ისე საერთო საცხოვრებლები, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. ის, რაც გუშინ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, დღეს საკმარისი აღარ არის. სასწავლო ბაზების გაფართოებასა და სტუდენტთა რაოდენობის ზრდას უნდა შეესაბამებოდეს მათი კვებისა და ყოფა-ცხოვრების პირობებიც.

შარშან ზოოტექნიკურ-საგეტერინარო ინსტიტუტში ამუშავდა ახალი 300-ადგილიანი სასადილო. ვაკეში, სტუდენტთა ქალაქში გახსნა ლამაზი სოკო-ბარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის აშენდა ორი მაღლივი 850-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის კორპუსი. ერთ-ერთში მოეწყო 200-ადგილიანი სასადილო.

ამჟერად შენდება სასადილო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალ საერთო საცხოვრებელში. მეთორმეტე სართულიდის გეგმით განზრახულია აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთათვის აშენდეს 500-ადგილიანი სასადილო, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის — ასევე 500-ადგილიანი სასადილო და ა. შ. ხორციელდება სხვა ღონისძიებებიც, მაგრამ დღემდე გაკეთებული ზღვაში წვეთია ამ დარგის გადასაჭრელ პრობლემებთან შედარებით.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები და სახაგრომრეწვი არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის. ასე შეაფასა მათი საქმიანობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს მუშათა კვების რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის სხდომამ, რომელმაც ამას წინათ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კვებისა და საყოფაცხოვრებო პირობების ორგანიზაციის მდგომარეობის საკითხი.

მიმდინარე წლის მარტამდე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს ემსახურებოდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს სასადილო და სტუდენტთა კვების სპეციალიზებული ტრესტი. ამჟერად მან შეწყვიტა არსებობა და ობიექტები მიმაგრებულია საზოგადოებრივი კვების რაიონულ ტრესტებზე. შემოწმების მასალები ცხადყოფს, რომ კვლავ არის ნაკლოვანებები სტუდენტთა კვების ორგანიზაციაში. სუსტია ტექნოლოგიური დისციპლინა, ბევრ ობიექტში გამოვლინდა დარღვევები რეცეპტურის დაცვაში, კალკულაციის შედგენაში, პროდუქტების შენახვის წესებში და სხვა. უარესი კი ის არის, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სასადილოში სტუდენტებს ანგარიშში ატყუებენ.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ინერგება მომსახურების პროგრესული ფორმები, მათ შორის ანგარიშგების სააბონემენტო სისტემა, სტუდენტთა შეღავათიანი კვება. ასევე არ არის დანერგილი კომპლექსური სადილების გაყიდვის სტაბილური ფასები.

უმაღლესი სასწავლებლების საერთო სენია ის, რომ მოუწყობელია ტექნიკური კვანძები, კვების ბლოკის წინ არა აქვთ ხელსაბანები, არ ყიდიან კულინარიულ ნაწარმსა და ნახევრფაბრიკატებს და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში. საერთო საცხოვრებლების უმეტესობა საჭიროებს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საცხოვრებელი კორპუსები თბილისის, სოხუმის, თელავის, გორისა და ცხინვალის სტუდქალაქებში.

რესპუბლიკის თითქმის არც ერთ საერთო საცხოვრებელში არ არის დამხმარე საყოფაცხოვრებო ნაგებობანი. არა აქვთ პირადი ჰიგიენის, სამრეცხაო, საუთოო, სამრობი და პირადი ნივთების შესანახი ოთახები, ხოლო პირსაბანები და ტუალეტები ვერ აკმაყოფილებენ სანიტარიულ-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. ბევრ სანტექნიკურ კვანძში მილები დაზიანებულია და წყლისგან ჩამორეცხილია ბათქაში, ჩამსხვრეულია მინები, არ იკეტება კარი. ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში სუსტია განათება, შენობა არადამაკმაყოფილებლად თბება, ოთახებში სიცივეა. რბილი და მაგარი ავეჯის მწვავე ნაკლებობაა. არ ჰყოფნით გარდერობები, მაგიდები, სკამები, ტუმბები, საწოლები და ა. შ. წლობით არ კმაყოფილდება მოთხოვნები ავეჯსა და ინვენტარზე.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ არ არის ხელმძღვანელობის ერთიანი კომპლექსური ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. რესპუბლიკური კომისიის სხდომამ ამ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ნ. ბრელიძე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე.**

**საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათ წელიწადს მუშაობდა თბილისის ელექტრომოწყობილობის საამქროებში ინჟინრად, ერთ-ერთი რაიონის ელექტროქსელების სამმართველოს უფროსად. ათ წელზე მეტ ხანს იმუშავა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საშინაოსტროს სისტემაში უფროს ინჟინრად, მთავარ ინჟინრად, სოფლის ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად. შემდეგ ათ წელიწადს იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. ამდენსავე ხანს მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად.**

**ოცდათორმეტი წლის წინათ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მალევე აირჩიეს დოცენტად, ხოლო 1964 წელს ლენინგრადში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ერთი წლის შემდეგ აირჩიეს პროფესორად. 1972 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო შემდეგ აკადემიკოსად. იგი ხშირად მონაწილეობდა იტალიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო სიგელით, არჩეულია ამ ქვეყნის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.**

**ღვაწლმოსილი აკადემიკოსის კალამს ეკუთვნის 150 სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია, ხუთი სასწავლო სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, არის 25-ზე მეტი გამოგონების ავტორი, რომლებიც წარმატებით დაინერგა სახალხო მეურნეობაში.**

**მან ორმოცზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადა. დიდი ღვაწლისათვის სახელმწიფომ იგი დაჯილდოვა ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის, ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მედლებითა და სიგელებით. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.**

**პატივცემულო აკადემიკოს „კომუნისტის“ რედაქციისა და მკითხველთა სახელით მოგულოცეთ საიუბილეო დღე და ვთხოვეთ ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.**

— **პატივცემულო ვალერიან, თქვენ, ხელმძღვანელი სამუშაოს გარდა, უშუალოდ სამეცნიეროსაპრობლემო ლაბორატორიასაც მეთაურობთ. მკითხველისათვის საინტერესო იქნება გაიცნოთ ის სამუშაობები, რომლებიც ამ ლაბორატორიაში სრულდება. მით უმეტეს ახლა ბევრი რამ ახალი ინერგება წარმოებაში.**

— ჩვენს ლაბორატორიაში ბევრი სიახლეა. ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებში ტრაქტორისათვის მიუდგომელ ნაკვეთებსა და ბაღ-ბოსტანში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის გაკეთდა ელექტროფიცირებული მონორელსური გზა.

აქ შიდაწყის ძრავას ნაცვლად გამოყენებულია მუდმივი დენის ელექტროძრავა, რომლის ელექტრომომარაგება საკონტაქტო ქსელის „მეტროს“ მსგავსად ხდება. მისი საექსპლოატაციო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება „იაპონური“ ტიპის ანალოგს. დანადგარმა გაიარა საუწყებათაშორისო გამოცდა და რეკომენდებულია დასანერგავად.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და სოფლად სამუშაოები რთულ რელიეფურ პირობებში მიმდინარეობს. განსაკუთრებით გაძნელებულია მაღალმთიან რაიონებში ძლიერ დაქანებული ფერდობებიდან თივის გადმოზიდვა. ამას ჩვენი ლაბორატორიის მუშაკებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს და ტრაქტორისათვის მიუვალი ადგილებიდან თივის გადმოსაზიდად შევიმუშავეთ ელექტრიფიცირებული ბნევმოსატრანსპორტო აგრეგატის კონსტრუქცია. აგრეგატმა საუწყებო გამოცდა გაიარა და მიღებულია წარმოებში დასანერგავად.

ახლა მსოფლიოს აგრარულ მეცნიერებაში გაჩნდა პრობლემა. საქმე ის არის, რომ სოფლად ბევრი მძიმე წონის მანქანა მუშაობს. მძიმე მობილური მანქანების საბურავები უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, გამოანგარიშებულია, რომ ამის ზეგავლენით მოსავლიანობა 10-20 პროცენტით მცირდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენი ლაბორატორიის მეცნიერმა მუშაკებმა გარკვეული შრომა გასწიეს — შეიქმნა ხიდული ელექტრიფიცირებული აგრეგატის კონსტრუქცია, რომელიც ვაზის სანერგეებისა და ბოსტნეული კულტურების დასამუშავებლად არის განკუთვნილი. წლის ბოლომდე ყველა პრამეტრის გათვალისწინებით მომზადდება დოკუმენტები საწარმოო გამოცდისათვის (აგრეგატი შესრულდება ხვნის, კულტივაციის, რწყვის და სხვა სახის სამუშაოები).

— **თქვენ ენერგეტიკოსი ბრძანდებით. დიდხანს მუშაობდით ამ სისტემაში, ხელმძღვანელობდით სამინისტროს „საქმთავარსოფლელექტროს“ სამმართველოს, ამ საქმეში ახლაც ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?**

— როცა „საქმთავარსოფლელექტროს“ სამმართველოს ვხელმძღვანელობდი, მაშინ საქართველოს სოფლებში მუშაობდა ორასზე მეტი მცირე სიმძლავრის სასოფლო ელექტროსადგური. მათი საერთო სიმძლავრე 70.000 კილოვატს აღემატებოდა. 1953 წელს გამოვიდა თავერობის დადგენილება, რომლის ძალითაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ნება მიეცათ ესარგებლათ მძლავრი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით. ამის გამო მცირე სიმძლავრის სასოფლო ელექტროსადგურები მისმა მფლობელებმა მიატოვეს. ახლა თითოოროლა ასეთი სადგური თუ მუშაობს. მცირე ძალის ელექტროსადგურების ამოქმედება ხელს შეუწყობს სოფლის ენერგეტიკული უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებას. საქართველო მდიდარია მცირე სიმძლავრის ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, როდესაც საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი საკონსულტაციო სამჯოს“ ხელმძღვანელი. ვამზადებთ სემინარ-სიმპოზიუმს, რომელიც წლეულს ივლისში ნეპალში გაიმართება. მალე გამოიცემა მონოგრაფია სამთო ეკოსისტემის პრობლემებზე, რომელზეც მუშაობაში ჩემთან ერთად ჩაბმული არიან სხვა ქვეყნების მეცნიერი მუშაკებიც. ნაშრომი გამოვა რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე.

ახლა — რაც შეეხება სახაგრომრეწვში ჩემს საქმიანობას: სკკა ცენტრალური კომიტეტის „ივნენრის პლენუმის მასალები ჩვენთვის სადირექტივოა. გათვალისწინებული გვაქვს მთელ რიგ დარგებში შეეძლათ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. მაგალითად, მეცხოველეობის სანაშენე საქმის გაერთიანება, მებოსტნეობის გაერთიანება და სხვა.

მკვეთრად გარდაიქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვის მოქმედი სისტემა. გათვალისწინებული გვაქვს თითოეულ კვლევითი ინსტიტუტში შეიქმნას დანერგვის სამეურნეოთანგარიშიანი სამეცნიერო საწარმოო ცენტრი თავიანთი ექსპერიმენტული ბაზებით. ამ გზით უფრო გაუმჯობესდება მეცნიერების მიღწევების დანერგვა უშუალოდ ადგილებზე. მნიშვნელოვნად გაძლიერდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდის საქმე. მკვეთრად გარდაიქმნება აგრომრეწვის საგამომცემლო სისტემა ცალკეულ გამომცემლობათა კონცენტრაციის გზით.

მეურნეობებში კოლექტიური იჯარის ფორმების დასანერგავად შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულების საფუძველზე მოემსახურება საზოგადებრივ მეურნეობებს, დიდი მუშაობა წარმოებს მეურნეობებში ინტენსიური ტექნოლოგიების დასანერგავად. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ყველაზეფერი რიგზე როდი გვაქვს. ჯერ კიდევ ვაწყდებით ფორმალიზმის შემთხვევებს, საქმისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას, რის შედეგადაც მთელი რიგი ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ ხორციელდება სათანადო დონეზე. ამავამად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის მიხედვით, ჩვენი მთელი სამეცნიერო პოტენციალი ხმარდება კონკრეტულ ღონისძიებათა უშუალოდ წარმოებაში განხორციელებას.

— **კმაყოფილი ხართ თუ არა მეცნიერთა კადრებით?**

— რესპუბლიკაში აგრომრეწვის პროდუქცია სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის ნახევარზე მეტია. აგროსამრეწველო პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა საერთო რაოდენობა კი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მეცნიერთა ერთ მეხუთედს არ აღემატება. ეს საქმე რეგულირებას საჭიროებს. ამასთან მეცნიერთა კადრების შენარჩუნება გვიჭირს, ნიჭიერი ახალგაზრდეობის მოზიდვა გვიძნელდება, როდგან წლების განმავლობაში მათი ბინით უზრუნველსაყოფად და საყოფაცხოვრებო პირობების გასუმჯობესებლად ქმედითი ღონისძიებები ვერ განვახორციელეთ. ამასთან, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში ფონდაღშერვილობა ერთ მეცნიერზე 2,2-5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ანალოგიურ საკავშირო ინსტიტუტებში. ეი აქ არის საჭირო დახმარება და გარდაქმნაზე ერთობლივი ზრუნვა.

— **თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა?**

— მე კავშირი არ გამიწყვეტია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან; ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი აღზრდა ჩემთვის სტიმულის მომცემია. ვამზადებ აგრეთვე მეცნიერ მუშაკებს, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმასვლას ემსახურებიან.

საუბარი ჩაიწერა

ვ. გოზალიშვილმა.

**ᲨᲘᲠᲐᲘᲠ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ კომედია „ახალსახლობა“ დაიდგა თბილისის ს. გ. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის სცენაზე. ახალი სპექტაკლი დადგა რობერტ ეგიანმა, მხატვარია თამარ აგაჯანოვა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ლევონ მირზოიანს.**

**...ერთ ბინაზე ორი ორდერი გამოწერეს. ამ სიტუაციამ ცხარე კამათი გამოიწვია. როლების შემსრულებლებმა შეძლეს მაყურებლისათვის ეჩვენებინათ შექმნილი მდგომარეობის მთელი კომიკურობა.**

• • •

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: სპექტაკლის სცენა.**

**ვ. პეტროსიანის ფოტო (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტოქრონიკა).**

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚᲘ, ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲡ**

**ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲐ. ᲨᲕᲘᲓᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲜ�გᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ, ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲗ. ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲗ ᲔᲙᲝᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲜ�გᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲘᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06946



## ᲒᲐᲕᲚᲝᲜᲘᲗᲠᲓᲔᲗ, ᲒᲐᲒᲖᲐᲜᲐᲚᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲛᲐᲒᲠᲓᲔᲗ!

**ᲩᲕᲔᲜᲘ** რესპუბლიკის მოსახლეობის — ახალგაზრდობისა, დიდისა თუ პატარის, აგრეთვე 30 წელზე მეტი ხნის ასაკის ადამიანების აქტიური პოზიციის ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი თაობის წარმომადგენელთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოველმხრივ დანერგვას. ეს არაერთხელ ამახულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებში. ამ საქმის რეალიზაციაში ვრცელი და ფართო ასპარეზი და ამასთან ერთად ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები აქვს საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს. ამ მიმართებით აღნიშნული სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შუქ-ჩრდილებზე გაზეთების — „კომუნისტისა“ და „ლელოს“ რამდენიმე პუბლიკაციაში უკვე იყო საუბარი. ამჟერად კვლავ ვუბრუნდებით პრობლემას.

გაზეთების პუბლიკაციების შემდეგ საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ 1985 წლის 15 მაისს იმსჯელა თავის კოლეგიაზე საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების თაობაზე. მას შემდეგ საბინაო-კომუნალური ორგანიზაციების სისტემაში გარკვეული ძვრები მოხდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი. გაკეთდა და მოწესრიგდა.

ამ ცოტა ხნის წინ შესაძლებლობა მოგვეცა დავსწრებოდით საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომას, რომელზეც კვლავ განიხილეს საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბევრგან ფიზიკური კულტურისა და სპორტის ბაზების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობასთან არაავი ზრუნავს, არც არსებული სპორტული მოედნების კეთილმოწყობისათვის იღვწიან სათანადოდ, იშვიათად იმართება მასობრივი ღონისძიებები, ხშირად ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებისათვის გამოყოფილ თანხებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიზნით არ არის გაშლილი საშეფო მუშაობა, არ იქმნება ფიზიკულტურულ-სპორტული ინვენტარის გაკირავების პუნქტები, ნელი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები გლდანის სპორტულ კომპლექსში... ყოველივე ამაზე კოლეგიის სხდომის მონაწილეებმა ილაპარაკეს დაუფარავად და პრინციპულად.

ვუსმენდით კოლეგიაზე გამმსვლელებს და დავგვიანდა აზრი, რომ საჭიროა ადგილებზე — სახალხო დეპუტატთა საქალაქო თუ რაიონული აღმასკომების ყურადღების აქცენტირება და პასუხისმგებლობის გაზრდა მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. უთუოდ ასევითვე ამოცანა უნდა დაისახონ იმ სამინისტროებმა და უწყებებმაც, რომელთა ბალანსზეა სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდი, მთასავე გამგებლობაშია ფინანსური საშუალებები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, და იმ საბინაო-კომუნალურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან უწყებასამინისტროებს. ამ მხრივ უთუოდ თავის სიტყვა უნდა თქვან აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო აღმასკომმა და მათზე დაქვემდებარებულმა შესაბამისმა ქვეგანაყოფებმა. ადგილებზე მეტი ძალისხმევა და გერგილიანობა თუნდაც იმიტომ გვმართებს, რომ სტრუქტურულად რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში გაცილებით ცოტა ქვეგანაყოფია, თანაც ადგილობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის ქვეგანაყოფების მუშაობას, ერთი მხრივ, აღმასკომები განაგებენ და, მეორე მხრივ, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო. გამოდის უცნაური გაორება, რადგან გამონაკლისი შემთხვევები როდია, როცა მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამოჩენილ უგერგილობას აღმასკომები სანინისტროს აბრალებენ და პირიქით. ეტყობა, ამ საქმეში გარკვეული სიცხადის შეტანაა საჭირო და შეგნება იმისაც, რომ ორივე მხარე ერთ დიდ და უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს — ახალგაზრდობისა თუ ხანდაზმულთა ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება. ისე კი გაქვეყნილ გატეხილი სჯობს, აბა, ვის ძალუძს რესპუბლიკის დედაქალაქიდან მოშორებულ ადგილებზე საქმის უკეთ გაძღოლა, თუ არა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ადგილობრივ აღმასკომებს. და ამიტომაც, უწინარესად სწორედ მათგან უნდა მოვითხოვდეთ სათანადო უკუგებას. კიდევ ერთი და, ალბათ, უმთავრესი. ადგილებზე პარტიის რაიკომებმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თუ ქმედითი კონტროლი არ დააწესეს და მკაცრი მომთხოვნელობა არ გამოიჩინეს იმ ქვეგანაყოფებისადმი, რომელთაც მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვა ევალებათ, რაიმე ხელშესახებ ძვრებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ბევრგან კიდევ სათანადოდ ვერ გაიაზრეს და ვერ აღიქვეს ის მოთხოვნები, რომლებიც მათ წინაშე არაერთხელ დაადგინეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ.

უფრო მეტიც, ჩვენი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი და მათ შორის პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელიც თავიანთ გამოსვლებში ზშირად იზეიმებენ სიტყვებს „გარდაქმნა“, „გარდატეხა“, „დაჩქარება“, და ამას ამოფარებულნი ნათქვამის საქმედ გადაქცევისათვის არაფერს ღონობენ. განა ცხადი არ არის, რომ ნებისმიერი საქმისადმი მედავითური, ყალი დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ? ალბათ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანების ჯანმრთელობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას არც ახლანდელი და არც მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

**როცა პროგლემა პროგლემას წარმოშობს**

დავუბრუნდეთ სამინისტროს კოლეგიის სხდომას, აქ წარმოჩნდა ერთი საკმაოდ მწვავე პრობლემა: საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა საექსპლოატაციო ორგანიზაციებმა თუ სხვა უფრო ზემდგომმა უბნებმა რა გზით და როგორ უნდა გაშალონ პრაქტიკული საქმიანობა, როგორ უნდა გაანაწილონ მართლაც სისხლსავსე მოსახლეობას შორის მუშობა. ერთია თანხების გამოყოფა, სამშენებლო მუშობის გაშლა, მაგრამ მეორეა ადამიანების ჩაბმა ჯანმრთელობის ჯგუფებში და ამ საქმის მართლაც ხარისხის ნიშნით ორგანიზება.

ისიც ხომ არ არის საიდუმლო, რომ ზოგ საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა საექსპლოატაციო უბანში ადგილობრივი ხელისუფლების წყარუებით, ხან კი მათივე განკარგულებით ფიზიკურდოლ მეთოდისტებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.. ამ და კიდევ სხვა საკითხთა პრაქტიკულად მოგვარებისა თუ განხორციელების საქმის გადადება არ ივარგებს, თორემ კიდევ უფრო შეფერხდება საქმე. სხვანაირად, თუ არა პრაქტიკული მოქმედებით, კვლავ ერთი ადგილის ტაკანა მოგვიხდება და კვლავ შელამაზებული ცხოვრების ტყვეობაში აღმოვჩნდებით. ეტყობა, ვერც პრესაში გამოქვეყნებული მყვირალა სათაურებით „დამშვენებული“ სტატიები უშველის საქმეს, თუ ამა თუ იმ პრობლემას მთელი სიღრმით არ ჩავწვდებით.

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით მის წინაშე მდგარი ფრაზად მნიშვნელოვანი პრობლემის პირველი ნაწილი მოაგვარა, ჯერი დადგა მთავრობის დადგენილების განხორციელებისა, და აღნიშნული კოლეგიის სხდომაც ხომ სწორედ ამას მიეძღვნა. ჯერ კიდევ ნახევრად გადაწყვეტილმა პრობლემამ კი ახალი წარმოშვა: როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ოპტიმალური სისტემა გამოვიმუშავოთ, რომელიც მართლაც მდგრადი და ნაყოფის მომტანი იქნება. ასეა, ცხოვრების კანონებს წინ ვერ აღიდგები და არც არის საჭირო. ერთ პრობლემას მეორე მოსდევს — ეს არის წინსვ